გᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

# ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

*ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება*

*ხაიშის საბავშვო ბაღი*

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

**თავმჯდომარე:**

ხარისხის ექსპერტი: *კახაბერ ფარცვანია*

**წევრები:**

კურიკულუმის ექსპერტი: *თამარ ღომიძე*

კვების დარგში ექსპერტი: *ჯულია მამალაძე*

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი: *გულთამზე ხოროიშვილი*

# ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია

| 1. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ | |
|---|---|
| სამართლებრივი ფორმა | არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი |
| საფირმო სახელწოდება | მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება |
| საიდენტიფიკაციო ნომერი | 235895073 |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება *(არსებობის შემთხვევაში)* | ხაიშის საბავშვო ბაღი |
| სახელწოდება ინგლისურ ენაზე *(არსებობის შემთხვევაში)* | |
| სექტორი | საჯარო |
| ინფორმაცია მოთხოვნილი სტატუსის შესახებ | სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება |

| | |
|---|---|
| **2. საკონტაქტო ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ** | |
| იურიდიული მისამართი<br>*(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)* | **საქართველო, მესტია, თამარ მეფის ქ. N48** |
| პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი<br>*(მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)* | **მესტიის მუნიციპალიტეტი, სოფელი ხაიში** |
| დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ვებ-გვერდი<br>*(არსებობის შემთხვევაში)* | |
| **3. ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ** | |
| დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)☒ | დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)☐ |
| **4. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ** | |
| ვიზიტის საფუძველი<br>*(ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)* | MES 3 26 0000297075, 11/03/2026 |
| ვიზიტის პერიოდი<br>*(თარიღი)* | 2026 წლის 02 და 03 აპრილი |

| **5. ინფორმაცია ბავშვების შესახებ** (ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე) | |
|---|---|
| **წინა ავტორიზაციის ფარგლებში საბჭოს მიერ განსაზღვრული ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა** | **ჩარიცხული ბავშვების რაოდენობა** |
| | |

## 6. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პროგრამ(ებ)ის შესახებ

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების დანართი №1-ის სახით დამტკიცებული ***"ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესი"***-ს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ იმ პროგრამის სახე/სახეები, რომლის განხორციელებაც სურს დაწესებულების სტატუსის მაძიებელს.

| N | პროგრამის სახე[1] | კურიკულუმ(ებ)ის დასახელება | პროგრამის განხორციელების ენა | პროგრამის განხორციელების მიდგომა *(არსებობის შემთხვევაში) (ბილინგვური/ მულტილინგვური)* | თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ადრეული აღზრდისა და განათლების პროგრამა | | | | |
| | | | | | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐<br>არ ეთანხმება ☐ |
| 2 | სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა | ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში - მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის 2025 | ქართული | | 45 |
| | | | | | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐<br>არ ეთანხმება ☒<br>**ექსპერტთა ჯგუფის აზრით, შესაძლოა ზთვრული რაოდენობა განისაზღვროს 30 ბავშვით.** |
| 4 | სასკოლო მზაობის პროგრამა | | | | |

[1] აისახოს მხოლოდ ის პროგრამა/პროგრამები, რომელიც მითითებულია დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში. პროგრამის სახის სპეციფიკის/რაოდენობის გათვალისწინებით შესაძლებელია დაემატოს ველები.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐<br>არ ეთანხმება ☐ |

## 7. ვიზიტის პროცესის საერთო მიმოხილვა

*მოკლედ აღწერეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ვიზიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები*

2026 წლის 11 მარტის, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მ/შ ბრძანების MES 3 26 0000297075 საფუძველზე, 2026 წლის 2-3 აპრილს განხორციელდა საავტორიზაციო ვიზიტი მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაიშის საბავშვო ბაღში. ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა ა(ა)იპ „მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების" მიერ ცენტრში წარდგენილი სავალდებულო დოკუმენტაცია. აღნიშნულზე დაყრდნობით შემუშავდა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც დაწესებულებას წინასწარ გაეგზავნა გაცნობის მიზნით.
საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2026 წლის 2-3 აპრილს, დღის წესრიგის შესაბამისად. ექსპერტთა მიერ მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტაცია ადგილზე იქნა წარმოდგენილი და შესწავლილი.
ვიზიტი წარიმართა ორგანიზებულ, მშვიდ და საქმიან გარემოში. ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა დაწესებულების საქმიანობა ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის შესაბამისად. განხორციელდა ტერიტორიისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება, ასევე ჩატარდა გასაუბრებები ა(ა)იპ-ის წარმომადგენლებთან, ადმინისტრაციასა და პერსონალთან.
ექსპერტებს ჰქონდათ შესაძლებლობა უშუალოდ მიეღოთ ინფორმაცია პასუხისმგებელი პირებისა და თანამშრომლებისგან თითოეული სტანდარტის შესრულების შესახებ.
ორივე დღის ბოლოს გაიმართა შემაჯამებელი შეხვედრა.
საერთო ჯამში, ვიზიტი წარიმართა კონსტრუქციული თანამშრომლობისა და ეფექტური კომუნიკაციის პირობებში. აღსანიშნავია, რომ პერსონალი ინფორმირებულია საკუთარი უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ, იცნობს მიმდინარე სიახლეებს და გამოხატავს მზაობას დაწესებულების უწყვეტი განვითარების მხარდაჭერისთვის.

## 8. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

*გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც დაწესებულების სტატუსის მაძიებლის გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)*

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 9. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

*(ასეთის არსებობის შემთხვევაში)*

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

# ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| 10. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სქემა | | |
|---|---|---|
| **სტანდარტი/კომპონენტი** | **დაწესებულების თვითშეფასება** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** |
| **ავტორიზაციის I სტანდარტის შეფასების სქემა** | | |
| **1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** |
| 1.1. დაწესებულების მისია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 1.2. სტრატეგიული განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების სქემა**[2]<br>*(სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა)*<br>*(ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ - მეთოდური სახელმძღვანელო 2-6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის 2025წ)* | | |
| **2. კურიკულუმი** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** | **☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** |

[2] ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

| | | |
|---|---|---|
| 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.2. კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.3. კურიკულუმის  შეფასება და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| ავტორიზაციის III სტანდარტის შეფასების სქემა | | |
|---|---|---|
| **3. ოჯახისა და თემის ჩართულობა** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** | **☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** |
| 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| ავტორიზაციის IV სტანდარტის შეფასების სქემა | | |
| **4. საალმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა** | **☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** | **☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება** |
| 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.2. პროცესების მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| | | |
|---|---|---|
| 4.3. მატერიალური რესურსი | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 4.7.ფინანსური რესურსი | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

# ნაწილი III. ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან შესაბამისობის აღწერა, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

## სარჩევი

1.1. დაწესებულების მისია
1.2. სტრატეგიული განვითარება
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა
2.2. კურიკულუმის განხორციელება
2.3. კურიკულუმის  შეფასება და განვითარება
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება
4.2. პროცესების მართვა
4.3. მატერიალური რესურსი
4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი
4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები
4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება
4.7. ფინანსური რესურსი

# 1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

## 1.1. დაწესებულების მისია

### 1.1.1. დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში

1. დაწესებულების მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების მისიაა "უზრუნველვყოთ ბავშვებისთვის უსაფრთხო და მათ ინტერესებზე ორიენტირებული გარემო, სადაც ბავშვი თავს გრძნობს ბედნიერად, ხელი შევუწყოთ თავდაჯერებული, კრეატიული და სოციალურად აქტიური ბავშვის - მომავალი მოქალაქის ჩამოყალიბებას, რომელიც მზად იქნება ახალი გამოწვევების მისაღებად და ბუნებრივი გარემოსა და რესურსების გამოყენების საფუძველზე შეძლებს კვლევისა და აღმოჩენის უნარების გამოავლენასა და განივითარებას." დაწესებულების მისია შესაბმისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. მასში კაგად ჩანს მზაობა ბავშვის ფიზიკურ და გონებრივ განვითარებაზე, ასევე ბავშვების უსაფრთხოებაზე, ჩანს ასევე მათი უნარების განვითარებაზე ორიენტირებულობა.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

...............................................................................................................................................................................................................................................

...............................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

...............................................................................................................................................................................................................................................

...............................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

...............................................................................................................................................................................................................................................

...............................................................................................................................................................................................................................................

2. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების ხედვაა: “2030 წლისთვის ჩვენი რეგიონის ბაღებში შექმნილია გარემო, სადაც პრიორიტეტია ბავშვის მრავალმხრივი განვითარება და კეთილდღეობაზე ზრუნვა, მომავალი ლიდერების და საზოგადოებისთვის აქტიური წევრების ჩამოყალიბება, რომლებიც პროექტებში ჩართულობით და ბუნებრივი რესურსების გამოყენებით ივითარებენ გარემოსდაცვით უნარებს”
დაწესებულების ღირებულებებია:
**პროფესიონალიზმი და ხარისხზე ორიენტირება** - ჩვენ მუდმივად ვმუშაობთ ჩვენი პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე და პროფესიული ზრდის ხელშეწყობაზე, რათა უზრუნველვყოთ ხარისხიანი განათლება;
**თანამშრომლობა** - ჩვენ ხელს ვუწყობთ მშობლების, თანამშრომლებისა და საზოგადოების თანამონაწილეობას ბაღის საქმიანობაში, ვითვალისწინებთ მათ მოსაზრებებს და წავახალისებთ მათ ჩართულობას ჩვენს პროცესებში, წავახალისებთ გუნდის თითოეული წევრის ჩართულობას საერთო მიზნის მისაღწევად;
**ინოვაციურობა** - ჩვენ პროაქიურად ვეცნობით სფეროში არსებულ სიახლეებს და ვზრუნავთ მათ დანერგვაზე ჩვენს ბაღებში;
**სამართლიანობა და თანასწორობა** - ჩვენ ვიცავთ ბავშვის უფლებებს და ვუქმნით მათ განვითარების თანაბარ შესაძლებლობებს;
**პოზიტიური და მხარდამჭერი გარემოს შექმნა** - ჩვენ მიზანმიმართულად ვცდილობთ შევქმნათ გარემო, სადაც ყველა ბავშვი თავს გრძნობს ბედნიერად, უსაფრთხოდ და დაცულად და სადაც გათვალისწინებული იქნება მათი ინდივიდუალური საჭიროებები და ინტერესები.
დაწესებულების ხედვა და ღირებულებები აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნებს და გამომდინარეობს მისიიდან.  ხედვაში ჩანს თუ რა მიმართულებით სურს დაწესებულებას განვითარება, მარტივი და გასაგები ენით არის გადმოცემული. ჩანს ბაღში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა, რაც ასევე კარგად გამოჩნდა ვიზიტის პერიოდში.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 3. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

როგორც ადგილზე წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და შესაბამის პირებთან გასაუბრებით ირკვევა, მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში აქტიურად იყო ჩართული მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების თანამშრომლები და მუნიციპალიტეტში არსებული ბაღების თანამშრომლები. პროცესის კოორდინაცია განხორციელდა ცენტრის ხელმძღვანელობის ორგანიზებით, რომელიც უზრუნველყოფდა სამუშაო შეხვედრების დაგეგმვასა და ჩატარებას. ცენტრში მისიის, ხედვისა და ღირებულებების და სტრატეგიული გეგმის შემუშავების მიზნით, მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბდა მისია, ხედვა და ღირებულებები.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………

### 4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მისია, ხედვა და ღირებულებები გამოკრულია ბაღის შესასვლელში, საინფორმაციო დაფაზე, ასევე, მისია და ხედვა 2026 წლის 31 მარტს განთავსებულია Facebook გვერდზე https://www.facebook.com/profile.php?id=100016171930643&sk=about

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 20 თებერვლის Nზ36.134260511 ბრძანებით დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“.
2. ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 16 თებერვლის Nზ36.134260473 ბრძანებით დამტკიცებული სამოქმედო გეგმა.
3. ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 30 აგვისტოს N142 ბრძანება სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ და 2026 წლის 16 თებერვლის Nზ36.134260472 ბრძანება ცვლილების შეტანის შესახებ.
4. შეხვედრის ჩანაწერები.
5. ინტერვიუს შედეგები.
6. მესტიის მუნიციპალიტეტის მერიასა და ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებას შორის არსებული ელექტრონული მიმოწერები.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **1.1. დაწესებულების მისია** | | | |
| შეესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 1.2. სტრატეგიული განვითარება

### 1.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს დაგეგმვის პრაქტიკა

1. დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შემუშავებული „სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია", რომელიც დამტკიცებულია ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებისდირექტორის 2026 წლის 20 თებერვლის №ბ36.134260511 ბრძანებით, განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვის მიზანსა და პროცასს და ამ პროცესებთან დაკავშირებულ ძირითად მიდგომებს, დაინტერესებული მხარეების ჩართულობის და მათი გაზიარების მექანიზმებს, სამუშაო ჯგუფის ფორმირებისა და მუშაობის წესს. მისიის ხედვის, ღირებულებების შემუშავებისა და გაზიარების პროცესებს, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიას, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება, გაზიარება და დამტკიცების, მათი მონიტორინგისა და შეფასების პროცედურებს. ასევე, მისია, ხედვა, ღირებულებებში, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილებების შეტანისა და ამ ცვლილებების გაზიარების წესს.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

რჩევა

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................

## 2. სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სტრატეგიული გეგმა დამტკიცებულია ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 30 აგვისტოს N142 ბრძანებით და ცვლილება შესულია ამავე ცენტრის დირექტორის 2026 წლის 16 თებერვლის №ბ36.134260472 ბრძანებით, რომელიც არის ექვს წლიანი (2024–2030), აგებულია ექვს ძირითად სტრატეგიულ მიმართულებაზე:

1. ინსტიტუციური განვითარების უზრუნველყოფა;
2. უსაფრთხო და ინკლუზიური გარემოს უზრუნველყოფა;
3. ბუნებრივი გარემოს პატივისცემისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა;
4. მშობლებლებთან და საზოგადოებასთან თანამშრომლობის გაძლიერება.

აღნიშნული მიზნები თანხვედრაშია დაწესებულების მისიასა და ხედვასთან. მაგალითად, ბუნებრივი გარემოს პატივისცემისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა, დაეხმარება კვლევისა და აღმოჩენის უნარების განვითარებაში. ასევე უსაფრთხო და ინკლუზიური გარემოს უზრუნველყოფა - ხელს შეუწყობს ბავშვის ინტერესებზე და შესაძლებლობებზე ორიენტირებულობას.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................................

......................................................................................................................................................................................................................

## 3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების 2026 წლის სამოქმედო გეგმა წარმოადგენს ერთწლიან გეგმას, რომელიც შემუშავდა 2024–2030 წლების სტრატეგიული განვითარების ხუთწლიანი გეგმის საფუძველზე და დამტკიცებულია ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 16 თებერვლის №ბ36.134260473 ბრძანებით. სამოქმედო გეგმაში მკაფიოდ განსაზღვრულია სტრატეგიულ მიზნებთან და ამოცანებთან შესაბამისი აქტივობები. თითოეული აქტივობა დაყოფილია რეალიზაციის კონკრეტულ ეტაპებად და აქვს გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსები, რაც საშუალებას იძლევა ეფექტიანად შეფასდეს შესრულების ხარისხი და პროგრესი. სამოქმედო გეგმა წარმოადგენს პრაქტიკულად გამოყენებად დოკუმენტს.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

რჩევა

ბრძანების გამოცემის დროს, სასურველია, ყურადღება გამახვილდეს ბრძანების გამოცემისა და ძალაში შესვლის თარიღების თანხვედრაზე.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

............................................................................................................................................................................................................................................

............................................................................................................................................................................................................................................

## 4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შეიცავს სტრატეგიული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელ კომპონენტებს: თითოეული მიზნის შესაბამისად განსაზღვრულია შესაბამისი ამოცანები, რეალისტურად დაგეგმილი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, პროცესზე პასუხისმგებელი პირები ან სტრუქტურული ერთეულები, ასევე – აქტივობების განსახორციელებელი კალენდარული ვადები.

სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი ამოცანები და აქტივობები შეესაბამება დაწესებულების შესაძლებლობებს, გამოხატავს სტრატეგიულ მიზნებთან ლოგიკურ კავშირს და მათი შესრულება დაკისრებულია კომპეტენტურ პირებზე ან ერთეულებზე.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

............................................................................................................................................................................................................................................

............................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

............................................................................................................................................................................................................................................

............................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

............................................................................................................................................................................................................................................

............................................................................................................................................................................................................................................

## 5. მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 20 თებერვლის №ბ36.134260511 ბრძანებით დამტკიცებული, „სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის" მე-9 და მე-10 მუხლები მკაფიოდ აღწერს მონიტორინგისა და შეფასების სტრატეგიებს და სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესში დებულების თანახმად განხორციელდება აღნიშნული საკითხი.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.........................................................................................................................................................................................................................

.........................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.........................................................................................................................................................................................................................

.........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.........................................................................................................................................................................................................................

.........................................................................................................................................................................................................................

## 6. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 20 თებერვლის №ბ36.134260511 ბრძანებით დამტკიცებული, „სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის" მე-4 და მე-10 მუხლებით განსაზღვრულია სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგების გამოქვეყნება.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.........................................................................................................................................................................................................................

.........................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.........................................................................................................................................................................................................................

.........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.........................................................................................................................................................................................................................

.........................................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
1. ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებისდირექტორის 2026 წლის 20 თებერვლის Nბ36.134260511 ბრძანებით დამტკიცებული „სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“.
2. ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 16 თებერვლის Nბ36.134260473 ბრძანებით დამტკიცებული სამოქმედო გეგმა.
3. ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2024 წლის 30 აგვისტოს N142 ბრძანება სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ და 2026 წლის 16 თებერვლის Nბ36.134260472 ბრძანება ცვლილების შეტანის შესახებ.
4. შეხვედრის ჩანაწერები.
5. ინტერვიუს შედეგები.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **1.2. სტრატეგიული განვითარება** | | | |
| შეესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 2. კურიკულუმი [3]

### პროგრამის სახე
სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა
### კურიკულუმის დასახელება
ადრეული განათლების კურიკულუმი ‘’თამაში’’ მეთოდური სახელმძღვანელო 2-6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის 2025წ.

### 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა
### 2.1.1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა

[3] მეორე სტანდარტის „კურიკულუმის“ ყველა ველი ივსება თითოეული პროგრამისათვის ცალ-ცალკე.

## 1. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმით:
ადრეული განათლების კურიკულუმი ''თამაში'' მეთოდური სახელმძღვანელო 2-6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის. (დანართი N3ა);
დაწესებულების მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილია არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის **ბრძანება: ბ36.134260512,** თარიღი: 20.02.2026წ. ა.ა.იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების გაერთიანების დირექტორის 2023წლის 02 მარტის #36 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ა.ა.იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის **კურიკულუმის დამტკიცების** შესახებ;
დაწესებულების მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილია არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის **ბრძანება: ბ36.134260431, თარიღი: 12.02.2026** ,,კურიკულუმის შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ", ,,ააიპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025წლის 10 მაისის #26 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ააიპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის **კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის** დამტკიცების შესახებ;
დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის **ბრძანება: #36.134260513,** თარიღი: 20.02.2026. ა.ა.იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის **საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებისთ შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის** დამტკიცების შესახებ;
წარმოდგენილი დოკუმენტები ასახავს, რომ კურიკულუმი, რომლითაც დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ არის შერჩეული.
მარეგულირებელი წესის, მუხლი 2. კურიკულუმის შერჩევა-ს თანახმად: კურიკულუმის შერჩევის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
ა) კურიკულუმის შერჩევაზე პასუხიმგებელი სამუშაო ჯგუფის შექმნა;
ბ) სამუშაო ჯგუფის მიერ არსებული კურიკულუმების გაცნობა;
გ) სამუშაო ჯგუფის მიერ კურიკულუმის/კურიკულუმების შერჩევა და დაწესებულების დირექტორთან წარდგინება;
დ) დაწესებულების დირექტორის მიერ კურიკულუმის/კურიკულუმების დამტკიცება.
დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის **ბრძანება: ბ36.134260494 , თარიღი: 18.02.2026 კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.**
დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ,,ააიპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის **სხდომის ოქმი 1** (2026წ.18თებერვალი), დ.მესტია

თემა: კურიკულუმის შერჩევის მიზნით, არსებული კურიკულუმების გაცნობა; არსებული კურიკულუმის შეცვლის მიზანშეწონილობის განხილვა;
დაწესებულებამ წარმოადგინა არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის **ბრძანება: ბ36. 134260516, თარიღი: 20.02.2026** ა.ა.იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის დღის განრიგისა და მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ნუსხის დამტკიცების შესახებ;
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.....................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმით:
ადრეული განათლების კურიკულუმი ''თამაში'' მეთოდური სახელმძღვანელო 2-6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის
კურიკულუმი ეფუძნება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებს. კერძოდ, ბავშვის აღზრდისა და განათლების სტანდარტს და ადრეული და სკოლამდელი და წესებულებების გარემოსა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხის სტანდარტს (პროგრამის ხარისხის სტანდარტი), რაც ბავშვისთვის განმავითარებელ, უსაფრთხო, პოზიტიურ და ხარისხიან საგანმანათლებლო გარემოს შექმნას გულისხმობს და ითვალისწინებს სტანდარტის ისეთ მიმართულებებსაც, როგორიცაა – ოჯახის და თემის მონაწილეობა, კულტურული მრავალფეროვნება და ინკლუზია; კურიკულუმი ჰოლისტურია და თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებს ბავშვის განვითარების ყველა სფეროს, რათა ფართო და მყარი საფუძველი შეუქმნას ბავშვის სწავლასა და კეთილდღეობას.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
რჩევა
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

### 3. კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმით:

- ✓ ადრეული განათლების კურიკულუმი ''თამაში'' მეთოდური სახელმძღვანელო 2-6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის;

თამაში ამ კურიკულუმის განხორციელების უმთავრესი საშუალებაა. ბავშვზე ცენტრირებული მიდგომის შესაბამისად, ბავშვი მისი სწავლის ცენტრალური ფიგურაა, სადაც უფროსი მის ინტერესს მიჰყვება, ხელს უწყობს სწავლისა და განვითარების ბუნებრივ პროცესს. ეს მიდგომა ხელს უწყობს ბავშვების ცნობისმოყვარეობის, ინტერესის გაღვივებას, ზრდის მოტივაციას და სწავლის შინაგან სურვილს. სწავლა და განვითარება მრავალფეროვან სივრცეებში მონაწილეობით და ჩართულობით ხდება. შემოქმედებითად და გააზრებულად მოწყობილი სივრცეები ხელს უწყობს თამაშით კვლევას, რომელიც ერთდროულად უსაფრთხოც არის და ზომიერ სირთულეებს და რისკსაც მოიცავს.

ზემოაღნიშნული კურიკულუმები ეფუძნება თამაშს, რაც ვლინდება შემდეგში:

- ✓ ბავშვებს აქვთ თავისუფალი არჩევანი სასურველი აქტივობების შერჩევისას, თემის შერჩევისას დაცულია ბალანსი, ბავშვის მიერ და უფროსის მიერ შერჩეულ თემათა შორის. კურიკულუმის მიზანია, ბავშვებმა თავად მოიძიონ კონფლიქტის გადაჭრის გზები და გამოხატონ საკუთარი აზრი თამაშის საშუალებით;
- ✓ სივრცე ნაწილობრივ არის დაყოფილი ცენტრებად, რაც ხელსაყრელ პირობებს ქმნის სხვადასხვა ტიპის თამაშისთვის;
- ✓ თემატური ერთეულები ვითარდება თამაშის ფორმატში და ებმის ბავშვის ყოველდღიურ გამოცდილებას;

კურიკულუმს ორი ძირითადი მიზანი აქვს - ჯგუფის ერთობა და კვლევა-აღმოჩენა. ჯგუფის ერთობა მოიცავს როგორც ბავშვების ინდივიდუალურ, სოციალურ, ემოციურ, კომუნიკაციურ უნარებზე ზრუნვას, ისე - ჯგუფის წევრებს შორის ურთიერთობების ხელშეწყობას და ერთ მთლიან გუნდად ჩამოყალიბებას. კვლევა-აღმოჩენა კვლევის უნართან ერთად ცნობისმოყვარეობას და შემოქმედებით უნარებს აერთიანებს. ეს, თავის მხრივ, ისეთ, კიდევ უფრო კონკრეტულ უნარებში ვლინდება, როგორიცაა: ინტერესი სიახლის მიმართ, კითხვების დასმა, ვარაუდების გამოთქმა, ყურადღების კონცენტრაცია, დაკვირვება საგნებსა და მოვლენებზე, ექსპერიმენტირება, კლასიფიკაცია, შედარება, მოვლენებს შორის

მიზეზშედეგობრივი კავშირების დამყარება, ანალიზი, კრიტიკული აზროვნება, სიმბოლური აზროვნება, ინტერპრეტაცია, პრობლემის გადაჭრა, შექმნა.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

## 4. კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმით:

✓ ადრეული განათლების კურიკულუმი ''თამაში'' მეთოდური სახელმძღვანელო 2-6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის

დაწესებულების მიერ შერჩეული ადრეული განათლების კურიკულუმი ,,თამაში" მეთოდური სახელმძღვანელო 2-6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის, ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას, რაც ვლინდება: სასწავლო - სააღმზრდელო პროცესში მშობლის როლის აღიარებაში, მშობელთა შეხვედრების, კონსულტაციებისა და ღია კარის დღეების ორგანიზებაში, ოჯახური რესურსების გამოყენებაში საგანმანათლებლო პროცესის გამდიდრების მიზნით, ოჯახური გარემოსა და საჭიროებების გათვალისწინებაში ინდივიდუალური დაგეგმვისას, კურიკულუმის გადახედვისა და გაუმჯობესების პროცესში მშობელთა შეფასებისა და წინადადებების ინტეგრირებაში;

კურიკულუმში მოცემულია ინფორმაცია, ოჯახებთან თანამშრომლობის მნიშვნელობაზე ბაღის საქმიანობის ეფექტურობასა და ბავშვის განვითარების მხარდაჭერაში. მოცემულია ოჯახის მონაწილეობის სამი მიმართულება: ბაღის საგანმანათლებლო პროცესში და პროგრამულ გადაწყვეტილებებში ოჯახების მონაწილეობის ხელშეწყობა; ბავშვების სწავლისა და განვითარების პროცესში ოჯახების უწყვეტი ჩართულობა; მშობელთა განათლება და ცნობიერების ამაღლება ადრეული განათლების და ადრეულ ასაკში განვითარების მნიშვნელობასა და თავისებურებებზე.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
რჩევა
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 5. კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა
დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმით:
- ✓ ადრეული განათლების კურიკულუმი ''თამაში'' მეთოდური სახელმძღვანელო 2-6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის;

ბავშვები ჩართული არიან სხვადასხვა ტიპის აქტოვობებში, იძენენ სხვადასხვა ტიპის გამოცდილებებს, რაც უზრუნველყოფს ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობას. აქტივობების დაგეგმვისას გათვალისწინებულია ასაკობრივი და ინდივიადიულური თავისებურებები/საჭიროებები. ასევე გათვალისწინებულია შერეული ასაკობრივი ჯგუფების საჭიროებები.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
რეკომენდაცია
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
რჩევა
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………
………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 6. კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება პროგრამის განხორციელებისათვის ხელმძღვანელობს შემდეგი კურიკულუმით:

- ✓ ადრეული განათლების კურიკულუმი ''თამაში'' მეთოდური სახელმძღვანელო 2-6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის;

დაწესებულების მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილია არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის **ბრძანება: ბ36.134260431, თარიღი: 12.02.2026** ,,კურიკულუმის შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“, ,,ააიპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025წლის 10 მაისის #26 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ააიპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის **კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის** დამტკიცების შესახებ; მარეგულირებელი წესის, მუხლი 3. კურიკულუმის გაზიარება“-ს თანახმად:

1. დაწესებულება შერჩეულ კურიკულუმ(ებ)ს უზიარებს დაინტერესებულ მხარეებს.
2. ამ მუხლის მიზნებისთვის დაინტერესებულ მხარეებს წარმოადგენენ:

ა) მშობლები/ბავშვის კანონიერი წარმომადგენლები;

ბ) დაწესებულების პერსონალი;

გ) თემი/მუნიციპალიტეტი;

3. დაწესებულების კურიკულუმ(ებ)ის გაზიარებისთვის იყენებს „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესში“ წინასწარ განსაზღვრულ საკომუნიკაციო საშუალებებს.

დაწესებულებამ წარმოადგინა სოციალური ქსელის ბმული: https://www.facebook.com/profile.php?id=61570567395665

ადგილზე ვიზიტისას, დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა თანამშრომლებთან შეხვედრის სხდომის ოქმი #1 (23.03.2026წ). დღის წესრიგი: სასწავლო-საგანმანათლებლო მეთოდოლოგიის განხილვა; კურიკულუმის მიმოხილვა;

მტკიცებულებად წარმოდგენილია მშობელთა შეხვედრის ოქმი #1 (27.03.2026წ) დღის წესრიგი: კურიკულუმის გაცნობა; მშობლის და თემის ჩართულობა;

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის **ბრძანება: ბ36.134260512,** თარიღი: 20.02.2026წ. ა.ა.იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების გაერთიანების დირექტორის 2023წლის 02 მარტის #36 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ა.ა.იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის **კურიკულუმის დამტკიცების** შესახებ;
2. არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის **ბრძანება: ბ36.134260431, თარიღი: 12.02.2026** ,,კურიკულუმის შერჩევის  წესის დამტკიცების შესახებ“,  ,,ააიპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2025წლის 10 მაისის #26 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ააიპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაგა- ბაღებისთვის **კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესის** დამტკიცების შესახებ;
3. არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის **ბრძანება: #36.134260513,** თარიღი: 20.02.2026. ა.ა.იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის **საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებისთ შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის** დამტკიცების შესახებ;
4. არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის **ბრძანება: ბ36.134260494 , თარიღი: 18.02.2026 კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.**
5. **,,ააიპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი სამუსაო ჯგუფის სხდომის ოქმი 1 (2026წ.18თებერვალი), დ.მესტია**
6. არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის **ბრძანება: ბ36. 134260516, თარიღი: 20.02.2026**  ა.ა.იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის დღის განრიგისა და მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ნუსხის დამტკიცების შესახებ;
7. თანამშრომლებთან შეხვედრის სხდომის ოქმი #1 (23.03.2026წ);
8. მშობელთა შეხვედრის ოქმი #1 (27.03.2026წ)

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **2.1. კურიკულუმის დაგეგმვა** | | | |
| შეესაბამება ☒ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 2.2. კურიკულუმის განხორციელება

## 2.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკა

### 1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობას და ხანგრძლივობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებას, 20.02.2026 წელს დამტკიცებული აქვს ა.ა.იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის **საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებისთ შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი.**

***მუხლი 3. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა -ს თანახმად:***

1. საგანმანათლებელო პროცესის დაგეგმვის ეტაპზე დაწესებულება აყალიბებს კურიკულუმის შესაბამის გეგმებს (შემდგომ - გეგმა/გეგმები).

2. დაწესებულებაში შემუშავებული გეგმები არის მოკლევადიანი (კვირის გეგმა), გრძელვადიანი - წლიური გეგმა ან/და კვარტალური გეგმა (კურიკულუმების შესაბამისად) და ინდივიდუალური გეგმა (წელიწადში ორჯერ - საჭიროების შეთხვევაში) და შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმ(ები)ის მოთხოვნებს.

3. გრძელვადიანი გეგმა იქმნება თითოეული ჯგუფის ყველა იმ საგანმანათლებლო პერსონალის მიერ, რომელიც უშუალოდ მუშაობს ბავშვთან. ამასთან, შემუშავებული გრძელვადიანი გეგმების გაზიარება ხდება კონკრეტული ბაღის დანარჩენ საგანმანათლებლო პერსონალთან და ბაღის მეთოდისტთან (არსებობის შემთხვევაში) ან გაერთიანების მეთოდისტთან (ბაღში მეთოდისტის არ არსებობის შემთხვევაში) და წარედგინება კონკრეტული საბავშვო ბაგა-ბაღის გამგეს და გაერთიანების დირექტორის მოადგილეს მეთოდურ დარგში.

4. მოკლევადიანი გეგმა იქნება თითოეული ჯგუფის ყველა იმ საგანმანათლებლო პერსონალის მიერ, რომელიც უშუალოდ მუშაობს ბავშვთან. მოკლევადიანი გეგმის შემუშავების პროცესის ზოგად მეთვალყურეობას ახდენს კონკრეტული საბავშვო ბაგა-ბაღის მეთოდისტი (არსებობის შემთხვევაში) ან გაერთიანების მეთოდისტი (ბაღში მეთოდისტის არ არსებობის შემთხვევაში).

5. დაწესებულების მიერ ამ მუხლით დადგენილი წესით შემუშავებული მოკლევადიანი, გრძელვადიანი და ინდივიდუალური გეგმების ფორმები დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის ბრძანებით და მოიცავს არანაკლებ შემდეგ ასპექტებს:

5.1.გრძელვადიანი გეგმა: ა) თარიღი, ბ) მნიშვნელოვანი თარიღები და პერიოდები გ) შესაბამისი რესურსების სია

5.2.მოკლევადიანი გეგმა: ა) თარიღი; ბ) მიზნები; გ) ინტერესი (თემა ან პროექტი); დ) უფროსის მიერ დაგეგმილი აქტივობები და პროვოკაციები; ე) რუტინული და სრული ჯგუფის აქტივობები და ტრანზიციები; ვ) სტრატეგია; ზ) ინდივიდუალიზაცია; თ) კვირის ანალიზი; ი) საგანმანათლებლო პერსონალის როლი. 3 საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი;

დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა  არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის **ბრძანება ß36.134260893, თარიღი: 30.03.2026 კურიკულუმის გრძელვადიანი, მოკლევადიანი და ინდივიდუალური გეგმების ფორმების დამტკიცების შესახებ;** ბრძანებას თანდართული აქვს: მოკლევადიანი (კვირის) გეგმის ფორმა; გრძელვადიანი (კვარტალური) გეგმის ფორმა; ინდივიდუალური გეგმის ფორმა;

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................

რჩევა

........................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................

## 2. კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებას, 20.02.2026 წელს  დამტკიცებული აქვს ა.ა.იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის **საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებისთ შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი.**

მუხლი 3.  საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა, მესამე და მეოთხე პუნქტის თანახმად:

3. გრძელვადიანი გეგმა იქმნება თითოეული ჯგუფის ყველა იმ საგანმანათლებლო პერსონალის მიერ, რომელიც უშუალოდ მუშაობს ბავშვთან. ამასთან, შემუშავებული გრძელვადიანი გეგმების გაზიარება ხდება კონკრეტული ბაღის დანარჩენ საგანმანათლებლო პერსონალთან და ბაღის მეთოდისტთან (არსებობის შემთხვევაში) ან გაერთიანების მეთოდისტთან (ბაღში მეთოდისტის არ არსებობის შემთხვევაში) და წარედგინება კონკრეტული საბავშვო ბაგა-ბაღის გამგეს და გაერთიანების დირექტორის მოადგილეს მეთოდურ დარგში.

4. მოკლევადიანი გეგმა იქნება თითოეული ჯგუფის ყველა იმ საგანმანათლებლო პერსონალის მიერ, რომელიც უშუალოდ მუშაობს ბავშვთან. მოკლევადიანი გეგმის შემუშავების პროცესის ზოგად მეთვალყურეობას ახდენს კონკრეტული საბავშვო ბაგა-ბაღის მეთოდისტი (არსებობის შემთხვევაში) ან გაერთიანების მეთოდისტი (ბაღში მეთოდისტის არ არსებობის შემთხვევაში).

დაწესებულების გამგესთან და აღმზრდელთან ინტერვიუდან ვიღებთ ინფორმაციას, რომ საგანმანათლებლო პროცესს გუნდი გეგმავს ერთად, ბავშვის/ჯგუფის ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით და შემდეგ ინფორმაცია ზიარდება გაერთიანების მეთოდისტთან;

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია;**

რეკომენდაცია

.....................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.....................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....................................................................................................................................................................................................................

.....................................................................................................................................................................................................................

## 3. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის **ბრძანება: #36.134260513,** თარიღი: 20.02.2026. ა.ა.იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის **საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებისთ შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის** დამტკიცების შესახებ;

მარეგულირებელი წესში, მუხლი 9. პორტფოლიოს წარმოება - თანახმად:

1. დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალი აწარმოებს შემდეგი ტიპის პორტფოლიოებს:

ა) ბავშვების ინდივიდუალურ პორტფოლიოს;

ბ) აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის პორტფოლიოს;

გ) სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიოს.

2. აღმზრდელ-პედაგოგის/აღმზრდელის პორტფოლიო მოიცავს შემდეგ ნაწილებს: ა) დღის განრიგი; ბ) გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმები; გ) რეფლექსური ჩანაწერები ; დ) პროცესზე დაკვირვებისა და შეფასების ფორმები;

3. ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიოები მოიცავს შემდეგ ნაწილებს: ა) ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერები; ბ) ბავშვის შეფასების ჩანაწერები; გ) ბავშვის ნამუშევრები, ბავშვის ნამუშევრის ფოტოები, ბავშვების ფოტოები სხვადასხვა თამაშისა და აქტივობის დროს; ბავშვის მონაწილეობის შესახებ აუდიო/ვიდეო ჩანაწერები. დ) ინდივიდუალური გეგმა (არსებობის შეთხვევაში).

4. სხვა საგანმანათლებლო პერსონალის (მუსიკის პედაგოგი, ფსიქოლოგი, ლოგოპედი, სპეციალური პედაგოგი) პორტფოლიო მოიცავს შემდეგ ნაწილებს: ა) გეგმა/გეგმები; ბ) რეფლექსური ჩანაწერები;
დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის **ბრძანება: ზ36.134260516, თარიღი: 20.02.2026 ა.ა.იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის დღის განრიგისა და მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ნუსხის დამტკიცების შესახებ;**
დღის განრიგი დამტკიცებულია 2-3 წლიანთა და 3-6 წლიანთა ჯგუფებისთვის.
აღსანიშნავია, თვითშეფასებაში პროგრამის მიხედვით მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა 45 ბავშვია, ადგილზე ვიზიტისას ბავშვთა ზღვრული რაოდენობის ცხრილში გაწერილია, რომ ბაღს ეყოლება შერეული 2-3 და 3-4, შერეული 4-5 და 5-6 წლიანთა ჯგუფები, 30 ბავშვის ოდენობით.  რაც დამტკიცებულ დღის განრიგთან შეუსაბამობაშია;
დამტკიცებულ დღის განრიგში გათვალისწინებულია ჯგუფის საჭიროებები და ინტერესები. დაცულია ბალანსი აღმზრდელის მიერ ინიცირებულ და ბავშვის მიერ ინიცირებულ თამაშებს შორის, წყნარ და მოძრავ თამაშებს შორის, მცირე და დიდი ჯგუფის აქტივობებს შორის.
დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა   არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის **ბრძანება ზ36.134260893, თარიღი: 30.03.2026 კურიკულუმის გრძელვადიანი, მოკლევადიანი და ინდივიდუალური გეგმების ფორმების დამტკიცების შესახებ;** ბრძანებას თანდართული აქვს: მოკლევადიანი (კვირის) გეგმის ფორმა; გრძელვადიანი (კვარტალური) გეგმის ფორმა; ინდივიდუალური გეგმის ფორმა;
მოკლევადიან სარეკომენდაციო  გეგმის ფორმაში ცალკეა გამოყოფილი ინდივიდუალიზაციის, საგანმანათლებლო პერსონალის როლის, კვირის ანალიზის ველი;
აღმზრდელ-პედაგოგის პორტფოლიოში განთავსებულია გრძელვადიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც არ ემთხვევა დაწესებულების მიერ დამტკიცებულ გრძელვადიან (კვარტლურ) გეგმის ფორმას.
**ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**
რეკომენდაცია
..........................................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................................
რჩევა
სასურველია დაწესებულებამ რედაქტირებული კურიკულუმის პრაქტიკაში დანერგვის შემდეგ, დღის განრიგის შექმნისას, გაითვალიწინოს ზემოაღნიშნული რეკომენდაციები: ადრეული განათლების კურიკულუმ თამაში - მეთოდური სახელმძღვანელო 2- დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის, თავი 11- ,,დრო და განრიგი” (გვ.214),   განხილულია განრიგის ძირითადი კომპონენტები და მათი ხანგრძლივობა, ასაკობრივი ჯგუფის შესაბამისად. ჩამონათვალში მოცემული დროები საორიენტაციოა, თითოეული კომპონენტი პატარა ასაკში უფრო მოკლე უნდა იყოს და ასაკის ზრდასთან ერთად - უფრო ხანგრძლივი.
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული წერილი (07.05.2026.N49), სადაც აღნიშნავს, რომ:

,,ექსპერტების ვიზიტის დროს ადგილზე დავახვედრეთ შეცვლილი ცხრილი, სადაც ბავშვთა რაოდენობა ხელახლა იყო დაანგარიშებული 30 ბავშის ოდენობით. ქსპერტი იგივე რეკომენდაციას იძლევა, რაც გამოსწორებული დახვდა ვიზიტის დროს თუმცა რატომღაც არ იქნა გათვალისწინებული ჩვენი წინასწარი მზაობა. ამასთან, ეს ინდიკატორი არ აფასებს ბავშვთა ზღვრულ რაოდენობას და ამ ნაწილში არ ვეთანხმებით ამ ინდიკატორის დახარვეზებას მითითებული არგუმენტით. დღის განრიგი განსაზღვრავს დროით გარემოს და ბავშვების ძირითად აქტივობებს. დღის განრიგი დამტკიცებულია ორ ვერსიად. 2-3 წლის ჯგუფებისთვის, სადაც გათვალისწინებულია ძილის პერიოდი და 3-6 წლის ჯგუფებისთვის, სადაც ძილის დრო ცალკე არ არის გამოყოფილი, ვინაიდან სტანდარტი სავალდებულო დაძინებას არ მოითხოვს. აღნიშნული ასაბუთებს, რომ დღის განრიგი მორგებულია ბავშვების ასაკობრივ ჯგუფურ საჭიროებებზე. 2-3 წლის ჯგუფებისთვის დამტკიცებული განრიგი გავრცელდება ყველა ჯგუფზე, რომელშიც ამ ასაკის ბავშვები იქნებიან, ხოლო 3-6 წლის ჯგუფებისთვის განრიგი გავრცელდება ყველა ჯგუფზე, სადაც 3 წლიდან 6 წლამდე ბავშვები იქნებიან. ექსპერტის პოზიცია, რომ დღის განრიგები შესაბამისობაში იქნას მოყვანილი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის ცხრილში გაწერილ ასაკობრივ განაწილებასთან ისედაც დასტურდება მოცემული ვერსიებით, ვინაიდან სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამის (2 წლიდან 6 წლამდე) სრულ ასაკობრივ შუალედს ფარავს და მასში გათვალისწინებულია ასაკობრივი საჭიროებები. ამასთან, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი კვოტა, ათვისებული იქნება სკოლამდელი აღზრიდსა და განათლების პროგრამის ასაკობრივ ფარგლებში 2-6 წლის ბავშვებისთვის, თუმცა ბუნებრივია შიდა გადანაწილებას, როგორი შერეული ჯგუფები დაკომპლექტდება მომავლი 6 წლის განმავლობაში წინასწარ ვერ გავთვლით, ვინაიდან აღნიშნული დამოკიდებულია სამომავლოდ ჩასარიცხი ბავშვების ასაკსა და რაოდენობაზე. აღსანიშნავია ასევე, რომ აღნიშნული განაწილება არ მოითხოვება სტანდარტით, შესაბამისად ექსპერტის ხარვეზს ამ ნაწილი არ ვეთანხმებით. რაც შეეხება მოკლევადიანი და გრძლევადიანი გეგმების პრაქტიკაში გამოყენებას, კურიკულულების დამტკიცების შესახებ 2026 წლის 20 თებერვლის ბრძანება №ბ36. 134260512 პუნქტი 4 აწესებს, რომ ბრძანების მე-3 პუნქტით განსაზღვრული განაწილების მე-18-დან 23-ე ნუმერაციის ჩათვლით საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის მითითებული კურიკულუმის განხორციელება სავალდებულო გახდეს ავტორიზაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან, ხოლო მანამდე პერიოდში განაგრძონ ამ ბრძანების 2.1 და 2.2. პუნქტებით განსაზღვრული კურიკულუმებით ხელმძღვანელობა. შესაბამისად, ვიზიტის დროს შესწავლილი აღმზრდელის პორტფოლიოებში არსებული გეგმის ფორმები წარმოადგენს წარსულის პრაქტიკას და ბუნებრივია ვერ იქნებოდა შესაბამისი სამომავლო კურიკულუმთან. მზაობა, რომ გეგმები შესაბამისი იქნება ახალი კურიკულუმისა დასტურდება დამტკიცებული გეგმის ფორმებით, რომელიც გამოყენებაში ჩაეშვება კურიკულუმის დანერგვისთანავე.”

ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია, დღის განრიგის ასაკობრივ გადანაწილებასთან დაკავშირებით და გადაიტანა რჩევის ნაწილში.

დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაში  აღნიშნულია, რომ მარეგულირებელი წესით განსაზღვრული მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმის ფორმების პრაქტიკაში დანერვა მოხდება რედაქტირებული კურიკულუმის დანერგვასთან ერთად.  ექსპერტთა გუნდმა გაითვალისწინა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია და შეცვალა ინდიკატორის შეფასება.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

## 4. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის **ბრძანება: #36.134260513,** თარიღი: 20.02.2026. ა.ა.იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის **საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებისთ შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის** დამტკიცების შესახებ;

მარეგულირებელ წესში, მუხლი 8. ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მეთოდები - ს თანახმად:

1. საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანი წარმართვისათვის, დაწესებულება იყენებს დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებსა და დანერგილი აქვს ამ მიმართულებით თანმიმდევრული პრაქტიკა.

2. დაწესებულება დაკვირვებისა და შეფასებისათვის იყენებს შემდეგ მეთოდებს:

ა) ბავშვზე დაკვირვების ჩეკლისტები სახელმწიფო სტანდარტების მიხედვით (რაც მოიცავს განვითარების 5 სფეროსა და 3 თემატურ მიმართლებას);

ბ) პროცესზე დაკვირვების ფორმა (რაც მოიცავს ბავშვზე, ჯგუფზე, რესურსების ხელმისაწდომობაზე და აღმზრდელის პრაქტიკაზე დაკვირვება)

გ) ბავშვის შეფასების ფორმა (რაც მოიცავს განვითარების 5 სფეროსა და 3 თემატურ მიმართლებას);

დ) მშობელთან შეფასების გაზიარების ფორმა (რაც მოიცავს განვითარების 5 სფეროს, 3 თემატურ მიმართლებას და აღმზრდელის სამომავლო სტრატეგიას).

3. შეფასებისა და დაკვირვების ფორმები, საბავშვო ბაგა-ბაღების საგანმანათლებლო პერსონალის (თითოეულ ბაღში შესაძლოა იყოს განსხვავებული ვიზუალით თუმცა შინაარსობრივად უნდა ასახავდეს ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ მეთოდებს) ერთობლივი მუშაობით იქმნება და თანხმდება გაერთიანების მეთოდისტთან ან დირექტორის მოადგილესთან მეთოდურ დარგში.

ადგილზე ვიზიტისას, დაწესებულებამ წარადგინა შეფასებისა და დაკვირვების განსხვავებული ფორმები, რომლებიც არ შეესაბამება მარეგულირებელი წესით განსაზღვრულ ფორმებს. მეთოდისტთან და აღმზრდელთან ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ მარეგულირებელი წესით განსაზღვრული დაკვირვებისა და შეფასების ფორმების პრაქტიკაში დანერგვა/გამოყენება, დაწესებულებას დაგეგმილი აქვს მომავალი სასწავლო წლიდან. დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალი, არ იცნობს მარეგულირებელი წესით განსაზღვრულ ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მეთოდებს;

დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის **ბრძანება ბ36.134260893, თარიღი: 30.03.2026 კურიკულუმის გრძელვადიანი, მოკლევადიანი და ინდივიდუალური გეგმების ფორმების დამტკიცების შესახებ;** ბრძანებას თანდართული აქვს: ინდივიდუალური გეგმის ფორმა;

**ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

..................................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული წერილი (07.05.2026.N49), სადაც აღნიშნავს, რომ:
,,კურიკულულების დამტკიცების შესახებ 2026 წლის 20 თებერვლის ბრძანება №ბ36. 134260512 პუნქტი 4 აწესებს, რომ ბრძანების მე-3 პუნქტით განსაზღვრული განაწილების მე-18-დან 23-ე ნუმერაციის ჩათვლით საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის მითითებული კურიკულუმის განხორციელება სავალდებულო გახდეს ავტორიზაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან, ხოლო მანამდე პერიოდში განაგრძონ ამ ბრძანების 2.1 და 2.2. პუნქტებით განსაზღვრული კურიკულუმებით ხელმძღვანელობა. შესაბამისად, ვიზიტის დროს შესწავლილი აღმზრდელის პორტფოლიოებში არსებული წარსული პრაქტიკის ამსახველი შეფასებისა და დაკვირვების ფორმები ბუნებრივია ვერ იქნებოდა შესაბამისი სამომავლო კურიკულუმთან. მზაობა, რომ ფორმები შესაბამისი იქნება ახალი კურიკულუმისა დასტურდება საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის ბრძანება: #36.134260513 მუხლი 8. ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მეთოდები - არსებული რეგულირებით, რომელიც ითვალისწინებს ექსპერტის მიერ მითითებულ 3 თემატურ მიმართლებასა და 5 განვითარების სფეროს.”

დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაში  აღნიშნულია, რომ მარეგულირებელი წესით განსაზღვრული შეფასებისა და დაკვირვების ფორმების პრაქტიკაში დანერვა მოხდება რედაქტირებული კურიკულუმის დანერგვასთან ერთად.  ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია და შეცვალა ინდიკატორის შეფასება.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

## 5. თამაში/თამაშის ელემენტები საგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის ძირითადი ხერხი არის თამაში/თამაშის ელემენტები, რაც ვლინდება იმაში, რომ დღის განმავლობაში დაგეგმილი აქტივობების დიდი ნაწილი ხორციელდება თამაშის სხვადასხვა ფორმით, საგანმანათლებლო მიზნები ინტეგრირებულია თამაშში ისე, რომ ბავშვები ვითარდებიან და სწავლობენ ბუნებრივ, სახალისო და მოტივირებულ გარემოში. ეს დასტურდება დღის განრიგით.
საგანმანათლებლო პერსონალთან ინტერვიუდან იკვეთება, რომ შერჩეული კურიკულუმის ,,ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის“ მიხედვით, თამაში საგანამანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია. თამაში ბაღში დღის განრიგის მთავარი კომპონენტია.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................

რჩევა

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

…………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 6. დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადახვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად როგორც შენობაში, ისე მის გარეთ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების გამგესთან და აღმზრდელთან ინტერვიუს საფუძველზე დასტურდება, რომ დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშებში ჩართვის საშუალება, კერძოდ: დრამატული და წარმოსახვითი თამაშები, შემოქმედებითი და კვლევითი თამაშები, სენსორული, სამაგიდო, მოძრავი, მანიპულაციური და კონსტრუქციული თამაშები, ბავშვებს ყოველდღიურად ეძლევათ როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ თამაშებში ჩართვის შესაძლებლობა.

გარემოს ვიზუალური დათვალიერების შედეგად ჯგუფურ ოთახში არსებული, მცირე რაოდენობის ქარხნული, მეორადი და ბუნებრივი ტიპის, რესურსის გათვალისწინებით დასტურდება, რომ დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს არ აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშებში ჩართვის საშუალება, კერძოდ: დრამატული და წარმოსახვითი თამაშები, შემოქმედებითი და კვლევითი თამაშები, სენსორული, სამაგიდო, მოძრავი, მანიპულაციური და კონსტრუქციული თამაშები, ბავშვებს ყოველდღიურად ნაწილობრივ ეძლევათ როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ თამაშებში ჩართვის შესაძლებლობა.

გარემოს ვიზუალური დათვალიერებისას იკვეთება, რომ ეზოში ატრაქციონების არარსებობის და სათამაშო სივრცეების სიმცირის გამო, ბავშვებს ყოველდღიურად არ ეძლევათ ეზოში თავისუფალი და სხვადასხვა ტიპის თამაშებში ჩართულობის საშუალება. ბაღის ეზოში განლაგებულია მხოლოდ: 1ც. საქვიშე, 1ც. ხის ქოხი, რომელიც ინტერვიუს საფუძველზე დგინდება, რომ გამოიყენება დრამატული თამაშებისთვის და 3ც. კენჭებით და ქვიშით სავსე კალათა, სენსორული აქტივობებისთვის;

ეზოს გარემო არ შეესაბამება კურიკულუმის მოთხოვნებს.

**ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს შიდა და გარე სივრცის (ეზო) მოწყობა კურიკულუმის შესაბამისად. ისე, რომ დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს ჰქონდეს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება, როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად;

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................................
..........................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული წერილი **(07.05.2026.N49) და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა,** სადაც აღნიშნავს, რომ: დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად როგორც შენობაში, ისე მის გარეთ - წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმაში.

დაწესებულებამ, არგუმენტირებულ წერილთან **(07/05/2026, N49)** ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. სადაც მითითებულია ,,**დაწესებულებაში კურიკულუმის შესაბამისი შიდა და გარე სივრცეების მოწყობისთვის სათანადო სამუშაოების განხორციელება“,** ვადად განსაზღვრულია **7.05.2026წ.-7.05.2028წ.** ვინაიდან დაწესებულებას აღებული აქვს **24 თვიანი** ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად, შეფასება შეიცვალა

**ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.**

## 2.2.2. დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

## 1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის **ბრძანება: #36.134260513,** თარიღი: 20.02.2026. ა.ა.იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის **საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებისთ შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის** დამტკიცების შესახებ;

მარეგურილებელი წესის, მუხლი 4. საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად რესურსების განსაზღვრა-თანახმად:

1. დაწესებულების მიერ შერჩეული საგანმანათლებლო რესურსი შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეულ კურიკულუმ(ებ)ს.
2. დაწესებულების მიერ შერჩეული საგანმანათლებლო რესურსი მოიცავს მზა, მეორად და ბუნებრივ რესურსებს;
3. დაწესებულება საგანმანათლებლო რესურსების შერჩევისას ეფუძნება მრავალფეროვნებისა და მრავალგვარობის კრიტერიუმებს.
4. დაწესებულება საგანმანათლებლო რესურსების შერჩევისას ეფუძნება ბავშვის ჰოლისტური განვითარებისთვის განსაზღვრულ სფეროებსა და თემატურ მიმართულებებს;
5. საგანმანათლებლო რესურსის ნუსხა ამ მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების გათვალისწინებით მოიცავს რესურსის სახეობას (დასახელებას) და მინიმალურ რაოდენობას;

6. მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხის განსაზღვრა ხორციელდება საგანმანათლებლო პერსონალის ჩართულობით და მტკიცდება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით;
7. დაწესებულება უფლებამოსილია განსაზღვრული მინიმალური საგანმანათლებლო რესურსი გაამდიდროს და გაამრავალფეროვნოს ამ მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების გათვალისწინებით.

დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის **ბრძანება: ბ36.134260516, თარიღი: 20.02.2026 ა.ა.იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის დღის განრიგისა და მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ნუსხის დამტკიცების შესახებ;**
დოკუმენტს ახლავს დანართი #3, მინიმალური საგანმანათლებლო ნუსხა.
ააიპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალ საბავშვო ბაღებში საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრა ეფუძნება „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შუფერხებლად უზრუნველყოფის წესს. კერძოდ მე-4 მუხლის მე-2 მე-3 და მე-4 პუნქტებს.
1. დაწესებულების მიერ შერჩეული საგანმანათლებლო რესურსი მოიცავს მზა, მეორად და ბუნებრივ რესურსებს;
2. დაწესებულება საგანმანათლებლო რესურსების შერჩევისას ეფუძნება მრავალფეროვნებისა და მრავალგვარობის კრიტერიუმებს.
3. დაწესებულება საგანმანათლებლო რესურსების შერჩევისას ეფუძნება ბავშვის ჰოლისტური განვითარებისთვის განსაზღვრულ სფეროებსა და თემატურ მიმართულებებს;
ამასთან, გათვალისწინებულია „ადრეული განათლების კურიკულუმის თამაში - მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის“ რეკომენდაციები და განსაზღვრულია თემატური ცენტრების შესაბამისად. თანაფარდობის განსაზღვრა ხდება ჯგუფთან მიმართებაში. რესურსები მათი ხარჯვადობის მიხედვით შესაბამისად შესაძლებელია მოითხოვდეს პერიოდულ განახლებას, დამატებას, ან შენარჩუნდეს წლის მანძილზე.
დაწესებულების გამგესთან და აღმზრდელთან ინტერვიუს საფუძველზე იკვეთება, რომ პრაქტიკაში დაწესებულებას შემუშავებული აქვს რესურსების მოთხოვნა/მიღების შიდა მექანიზმი, კერძოდ: გამგის მიერ საგანმანათლებლო პერსონალთან ერთად დაიგეგმება სამუშაო შეხვედრა, განიხილავენ მომავალი კვირის დაგეგმილ თემებს/აქტივობებს, გამოიკვეთება საჭირო რესურსი, რომელიც აქტივობათა განხორციელებისთვის არის საჭირო და ვინაიდან კონკრეტულ დაწესებულებაში არ ჰყავთ მეთოდისტი, ინფორმაცია გაზიარდება გაერთიანების მეთოდისტთან. დაწესებულების გამგე, განცხადების ფორმით  მიმართავს გაერთიანების გენერალურ დირექტორს. მტკიცებულებად წარმოდგენილია წერილობითი განცხადების ფორმა;
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
რეკომენდაცია
.....................................................................................................................................................................................
.....................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................................

## 2. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის **ბრძანება: ბ36.134260561** თარიღი: 25.02.2026, **ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ;**

წესში - მუხლი 4. დაწესებულების რესურსებით უზრუნველყოფის პარამეტრები - ს თანახმად: საგანმანათლებლო რესურსი განისაზღვრება დაწესებულებაში მოქმედი კურიკულუმის სპეციფიკიდან გამომდინარე. მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის თანაფარდობა ბავშვთა რაოდენობასთან მიმართებით მოცემულია ააიპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის დღის განრიგისა და მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ნუსხის დამტკიცების თაობაზე 2026 წლის 20 თებერვლის N3 დანართში.

დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის **ბრძანება: #36.134260513,** თარიღი: 20.02.2026. ა.ა.იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის **საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებისთ შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის** დამტკიცების შესახებ;

მარეგურილებელი წესის, მუხლი 5 საგანმანათლებლო პროცესის რესურსით უზრუნველყოფის ორგანიზება -ს თანახმად:

1. მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების შეძენა ხორციელდება სატენდერო შესყიდვისა და პირდაპირი შესყიდვის გზით.
2. საგანმანათლებლო პროცესისათვის საჭირო მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების საჭიროების შესახებ ინფორმაციის მიღება და აღნიშნული რესურსების შეძენა ხორციელდება შემდეგი სქემის მიხედვით:




3. საგანმანათლებლო რესურსების საჭიროებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება ხორციელდება ყოველწლიურად ინვენტარიზაციისა და საჭიროებების მოკვლევის გზით.
4. ბავშვის/ჯგუფის ინტერესებისა და ინდივიდუალური საჭიროებებისთვის, ასევე კურიკულუმის დაგეგმილი თუ დაუგეგმავი საჭიროებისთვის ამ მუხლით განსაზღვრულ მექანიზმთან ერთად დაწესებულებამ შეიძლება გამოიყენოს საგანმანათლებლო რესურსებისთვის თავისუფალი განკარგვის ბიუჯეტი.
5. ამ მუხლით განსაზღვრული მექანიზმის გარდა, დაწესებულება ასევე იყენებს რესურსების მოძიების შემდეგ ალტერნატიულ გზებს:
ა) მოგროვება;
ბ) დონაცია;
გ) დამზადება.

დაწესებულებამ ადგილზე ვიზიტისას წარმოადგინა წიგნების რეესტრი: ,,ხაიშის საბავშვო ბაღის წიგნების ჩამონათვალი”;
დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა ინვენტარის აღწერის დოკუმენტაცია/მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია-საინვენტარიზაციო აღწერა-2025წ.; თუმცა აღნიშნულ ნუსხაში არ არის ასახული სათამაშოები და ყველა ის საგანმანათლებლო რესურსი, რაც კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების დაგეგმვისთვის არის საჭირო ;
დაწესებულებამ წარმოადგინა საგანმანთელებლო რესურსის (საკანცალარიო მასალა) მიღება-ჩაბარების აქტი, 26.03.2026წ.
ადგილზე ვიზიტისას, დაწესებულებამ წარმოადგინა სათამაშოების მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც თარიღდება 14 ივნისი 2024 წლით, შემდგომ წლებში მიღებული სათამაშოების მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი არ იძებნება, შესაბამისად რესურსის რაოდენობა ვერ მოდის შესაბამისობაში ბავშვთა ზღვრულ რაოდენობასთან, ეს აისახება ფიზიკურ გარემოში, ცენტრებში რესურსის გადანაწილების ნაწილშიც.
**ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**
რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს, კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსის შეძენა/გადაცემა, ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................................................................

...................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ არგუმენტირებულ წერილთან **(07/05/2026, N49)** ერთად, დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც (2.2.2.) მითითებულია ,,კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსის უზრუნველყოფა", განსაზღვრულია შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადა (24 თვე) **7.05.2026წ.-7.05.2028.** შესრულებისთვის საჭირო რესურსი და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას, აქედან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფის შეფასება იცვლება

**ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.**

## 2.2.3. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების მოწყობა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

### 1. ჯგუფური ოთახის და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა არასამეწარმეო, არაკომერციული იურიდიული პირი მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის **ბრძანება: #36.134260513,** თარიღი: 20.02.2026. ა.ა.იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღებისთვის **საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებისთ შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის** დამტკიცების შესახებ;

მარეგულირებელი წესში, მუხლი 6. გარემოს ფიზიკური მოწყობა-ს თანახმად:

1. დაწესებულების ფიზიკური გარემოს მოწყობაში თანაბარწილად ჩართულები არიან დაწესებულების ადმინისტრაცია და საგანმანათლებლო პერსონალი და ეფუძნება ჯგუფის საჭიროებებს.
2. კურიკულუმის განხორციელების პროცესში, ფიზიკური გარემოს ცვლილება ხორციელდება:
 ა) ბავშვების ინდივიდუალური საჭიროებიდან გამომდინარე;
 ბ) ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე;
 გ) ბავშვების ინდივიდუალური თავისებურებიდან გამომდინარე;
 დ) დაგეგმილი აქტივობებისა და თამაშების შესაბამისად;

ე) ინვენტარის განახლებიდან გამომდინარე.
3. დაწესებულება ჯგუფური ოთახისა და გარე სივრცის მოწყობაზე თანაბარწილად ზრუნავს კურიკულუმის საჭიროებების შესაბამისად.
დაწესებულებაში, ადგილზე ვიზიტისას განხორციელდა ფიზიკური გარემოს (შიდა და გარე სივრცე) ვიზუალური დათვალიერება. ჯგუფური ოთახის კედლები ნეიტრალური ფერისაა, დაყოფილია სათამაშო სივრცეებად/ცენტრებად (დრამატული/კულინარიის, წიგნიერების, ხელოვნების, სამაგიდო, მეცნიერების, კუბურების, სენსორული). სათამაშოების სიმწირის გათვალისწინებით, ნაწილობრივ არის შესაძლებელი მრავალფეროვან აქტივობებში მონაწილეობა როგორც ინდივიდუაურად, ისე მცირე ჯგუფებად. ჯგუფურ ოთახში ბავშვებისთვის არ არის განთავსებული ვიზუალური დღის განრიგი. ცენტრებსა და კონტეინერებს აქვს მინიშნებები, რომლებიც საჭიროებს განახლებას. ჯგუფურ ოთახში ვიზუალური მასალის (ჯგუფის წესები, სახლი-ბაღი, ბავშვების ნამუშევრები) განთავსებისას, გათვალისწინებულია ბავშვის სიმაღლე. არსებული  რესურსი (ქარხნული, მეორადი, ხელნაკეთი და ბუნებრივი) განლაგებულია ბავშვის სიმაღლეზე, ღია კარადებში, ნაწილი მოთავსებულია გამჭვირვალე კონტეინერებში.
დაწესებულებას  არ აქვს სივრცე სპორტული და მუსიკალური აქტივობებისთვის (სენსო-მოტორული სივრცე), აღნიშნული აქტივობების განხორციელებისთვის იყენებს ჯგუფური ოთახის სასადილო სივრცეს.  ვიზუალური დათვალიერებით იკვეთება, რომ სივრცე ვერ იქნება ფუნქციურად ათვისებული, რადგან არ არის განთავსებული ინვენტარი აღნიშნული აქტივობების განხორციელებისთვის.
დაწესებულების შესასვლელ სივრცეში განთავსებულია საინფორმაციო დაფა მშობლებისთვის,  ჯგუფური ოთახის შესასვლელში განთავსებულია უკუკავშირის ყუთი მშობლებისთვის;
დაწესებულების გარე სივრცეში/ეზოში არსებული საგანმანათლებლო რესურსი, არ გამოდგება სხვადასხვა ტიპის თამაშების განხორციელებისათვის; ეზო არ არის აღჭურვილი ისეთი რესურსით, რომელიც ხელს უწყობს სენსომოტორული უნარების განვითარებას, თავისუფალ და ერთდროულად უსაფრთხო მოძრაობას, ჯგუფურ კომუნიკაციას და შემოქმედებით თამაშს.
აღსანიშნავია, რომ დაწესებულების შიდა სივრცეებში, კედელზე განთავსებული ვიზუალური/შემეცნებითი/საგანმანათლებლო მასალა/ბავშვთა ნამუშევრები დამაგრებულია **„ჭიკარტებით“,** რაც არ არის უსაფრთხო;
**ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

...........................................................................................................................................................................................................................
.......................................................................................................................................................................................................................

რჩევა

სასურველია,  დაწესებულებამ კედლებზე ვიზუალური/შემეცნებითი მასალის დასამაგრებლად, გამოიყენოს ჭიკარტის ალტერნატიული საშუალებები: წებოვანი ლენტი, დასამაგრებელი ცომი (Adhesive Putty/Mounting Putty); ქაღალდის ლენტი(Washi Tape); ორმაგი სკოჩი ("Removable" ან "Wall-Safe"); მაგნიტური დაფა და ა.შ

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული წერილი (07.05.2026.N49), სადაც აღნიშნავს, რომ:

,,ექსპერტი აღნიშნავს, რომ შიდა სივრცე მოწყობილია ცენტრებად (რასაც ითხოვს კურიკულუმი გვ. 194 - საგანმანათლებლო გარემოს მოწყობა). ვიზუალური დღის განრიგის განთავსების 6 საკითხი, რაც უზრუნველყოფს პროგნოზირებად გარემოს, წარმოადგენს 4.6. კომპონენტის შეფასების საგანს და იმ ნაწილში არ გვაქვს დახარვეზებული, შესაბამისად ამ ინდიკატორის შეფასების ნაწილში არ ვეთანხმებით არსებულ განსვლას, ვინაიდან სცილდება ინდიკატორის შეფასების საგანს. სენსო-მოტორული აქტივობებისთვის ინვენტარის საკითხთან დაკავშირებით - საგანმანათლებლო რესურსის უზრუნველყოფის ნაწილი გაწერილი გვაქვს შესაბამისობის გეგმაში 2.2.3.2. ინდიკატორისთვის, ამ ინდიკატორის შეფასების საგანს რესურსები არ წარმოადგენს და ვერ იქნება გათვალისწინებული. ეზოს/გარე სივრცის ატრაქციონები გაწერილი გვაქვს 4.2. კომპონენტის შესაბამისობის გეგმაში ვინაიდან იმ კომპონენტის შეფასების საგანს წარმოადგენს და ამ ინდიკატორში განმეორებით ხარვეზს არ ვეთანხმებით. კედლებზე ჭიკარტების გამოყენება მიზანშეწონილი იქნება თუ რჩევაში გადაიტანს ექსპერტი და გავითვალისწინებთ, თუმცა ხარვეზის ნაწიშლი არ არის მისაღები ვინაიდან ინდიკატორის შეფასების საგანს არ წარმოადგენს.''
ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია და უსაფრთხოების თვალსაზრისით, ჭიკარტების ალტერნატიული საშუალებების გამოყენების რეკომენდაცია, გადაიტანა რჩევის ნაწილში.
ვინაიდან დაწესებულების მიერ მოწოდებულ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში 4.3.2.6. სტანდარტის, კომპონენტის ნაწილში დაწესებულებას გაწერილი აქვს ,, ეზოში/გარე სივრცეში სავალდებულო აღჭურვილობა და სივრცეების მოწყობა სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად", ვადად განსაზღვრულია **7.05.2026წ.-7.05.2028წ;** ხარვეზის გამოსასწორებლად დაწესებულებას აღებული აქვს **24 თვიანი** ვადა, ექსპერტთა გუნდის მიერ შეფასება შეიცვალა და კურიკულუმის ნაწილში 2.2.3(1)
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

## 2. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეში საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია

### ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზების სპეციფიკას შემდეგნაირად: კურიკულუმი ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ შესაძლებლობებზე მორგებული საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზების პრინციპებს, რაც მოიცავს მრავალფეროვანი და მრავალგვარი რესურსების გამოყენებას, გარემოს შემოქმედებით მოწყობას და ბავშვზე ორიენტირებულ აქტივობათა დაგეგმვას. კურიკულუმი ემყარება თამაშზე დაფუძნებული მიდგომას და განსაზღვრავს, რომ საგანმანათლებლო რესურსები უნდა ემსახურებოდეს ბავშვების შემეცნებით, მოტორულ, სენსორულ, სოციალურ და ემოციურ განვითარებას.
დაწესებულების ჯგუფურ ოთახში, არსებული საგანმანათლებლო რესურსი მცირეა, თუმცა ორგანიზებულია, კერძოდ:
ჯგუფური ოთახი აღჭურვილია მწირი რაოდენობის ქარხნული, მეორადი და ბუნებრივი ტიპის რესურსით, რომლებიც თემატურად არის ცენტრებში ორგანიზებული/განაწილებული. რესურსი უმეტეს შემთხვევაში განლაგებულია ღიად და ბავშვების სიმაღლეზე.
დაწესებულების გარე სივრცეში/ეზოში საგანმანათლებლო რესურსი (ატრაქციონები), სივრცეები დრამატული თამაშებისთვის არ არის მოწყობილი და შესაბამისად ვერ იქნება კურიკულუმის შესაბამისი და ორგანიზებული;
ეზოს გარემო და ეზოში რესურსების ორგანიზება არ შეესაბამება კურიკულუმის მოთხოვნებს.

**ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს გარე სივრცის მოწყობა კურიკულუმის შესაბამისად.

რჩევა

დაწესებულების შიდა სივრცის დათვალიერებისას გამოიკვეთა, რომ კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელებისთვის გამოიყენება კვერცხის მუყაოს ჩასადები ე.წ.,,კასეტა. აღნიშნული, სასურველია არ იქნას გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსად, რადგან წარმოადგენს დიდ საფრთხეს მიკრობიოლოგიური თვალსაზრისით (კვერცხის წარმოშობის მექანიზმიდან გამომდინარე - ინფექციური დაავადება სალმონელოზია). აქტივობის დროს მუყაოს ხელით შეხების შემდეგ, იმავე ხელით შესაძლოა მოხდეს ინფექციის გადატანა ლორწოვან გარსზე (პირის ღრუ, თვალის ლორწოვანი გარსი);

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ არგუმენტირებულ წერილთან **(07/05/2026, N49)** ერთად, დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით წარმოადგინა, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც (2.2.3.) მითითებულია ,,კურიკულუმის შესაბამისად გარე სივრცის მოწყობა“, განსაზღვრულია შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადა (24 თვე) **7.05.2026წ.-7.05.2028.** შესრულებისთვის საჭირო რესურსი და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. აღნიშნული გეგმა უზრუნველყოფს შეუსაბამობის სრულად აღმოფხვრას, აქედან გამომდინარე ექსპერტთა გუნდის ჯგუფის იცვლება. **ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.**

### 3. ჯგუფური ოთახები მოწყობილია იმგვარად რომ ბავშვს აქვს აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების ჯგუფური ოთახი დაყოფილია ცენტრებად. ჯგუფურ ოთახში წარმოდგენილია პრივატული ზონა ,,წყნარი სივრცე“, სადაც ბავშვებს აქვთ განმარტოვების საშუალება. გარემო არ იძლევა შესაძლებლობას დაიგეგმოს და განხორციელდეს აქტივობები, როგორც მცირე, ისე დიდ ჯგუფებთან. ჯგუფურ ოთახში არ არის რბილი საფარი (ხალიჩა, ფაზლი), სადაც დაგეგმილი იქნება დიდ ჯგუფთან შეხვედრები დილის და საღამოს წრეზე, განლაგებულია 4 ადგილიანი 14 ცალი მაგიდა, რაც შეხება სკამებს ფიქსირდება 22 ცალი. სკამების ზომა და რაოდენობა არ შეესაბამება ბავშვთა ზღვრულ რაოდენობას და მასში გათვალისწინებულ ასაკობრივ გადანაწილებას;

**ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

................................................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

დაწესებულებას ჰყავს ხელმძღვანელი - ბაღის გამგე, 1 აღმზრდელი, 1 აღმზრდელის თანაშემწე, 1 მნე, 1 მზარეული, 1 დამლაგებელი (გარე და შიდა პერიმეტრის). დაწესებულებას არ ჰყავს სსსმ აღსაზრდელი, თუმცა ყოლის შემთხვევაში, დაწესებულებას აქვს მზადყოფნა, რაც გამოიხატება ინდივიდუალური გეგმის ფორმების დამტკიცებით. ბაღს, ცალკე არ ჰყავს მეთოდისტი (საგანმანათლებლო მიმართულებით), გაერთიანებას ჰყავს ერთი მეთოდისტი, არ ჰყავს მუსიკის მასწავლებელი და მედდა (ბაღის წინ, 20 მეტრში არის ამბულატორია კვალიფიციური ექიმით, თუმცა არა აქვთ გაფორმებული მემორანდუმი ან რაიმე ტიპის შეთანხმება). ბაღს მოთხოვნილი აქვს 45 ადგილი, რაც ითვალისწინებს 1-ზე მეტი აღმზრდელისა და და აღმზრდელის თანაშემწის ყოლას დაწესებულებაში. შესაბამისად, ბაღს ჰყავს მხოლოდ ერთი ჯგუფისთვის საკმარისი პერსონალი, რაც ვერ უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას.

**ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისი პერსონალის აყვანა ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

რჩევა

..................................................................................................................................................................................................................................

..................................................................................................................................................................................................................................

[4] აღნიშნული სტანდარტის შეფასებისას გაითვალისწინეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თითოეული პროგრამის სახის/კურიკულუმის სპეციფიკა და დამატებით წარმოადგინეთ მათი შეფასების შესახებ ინფორმაცია (ასეთი საჭიროების შემთხვევაში).

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
დაწესებულებამ, არგუმენტირებულ წერილთან **(07/05/2026, N49)** ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. სადაც მითითებულია **„აღმზრდელის/აღმზრდელ-პედაგოგის დამატება“**, ვადად განსაზღვრულია **7/05/2026-7/05/2027**. ვინაიდან დაწესებულებას აღებული აქვს **12 თვიანი** ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად, შეფასება შეიცვალა და
**ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 2. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა
დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 23 თებერვლის №ბ36.134260543 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები და სამუშაო აღწერილობები და ამავე ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესი. პერსონალის ფუნქცია-მოვალეობებსა და სამუშაო აღწერილობებში მკაფიოდაა განსაზღვრული თითოეულის ფუნქციები. ორივე დოკუმენტი შესაბამისობაშია კანონმდებლობის მოთხოვნებთან და არეგულირებს იმ ძირითად საკითხს, რაც დაკავშირებულია პერსონალის მართვასა და განვითარებასთან. პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები გამომდინარეობს ორგანული კანონიდან „საქართველოს შრომის კოდექსი“ და აერთიანებს ყველა სავალდებულო პუნქტს: დასაქმებულის მიერ შესასრულებელი სამუშაოები (ფუნქციები), მხარეთა უფლება-მოვალეობები, სამუშაო, შესვენების და დასვენების დრო, შვებულება, შრომითი ურთიერთობის შეჩერება, ხელშეკრულების მოქმედების ვადა, შრომის ანაზღაურება, ხელშეკრულების შეწყვეტა, დავის სამართლებრივი გადაწყვეტა და სხვა. პერსონალი იცნობს შინაგანაწესს და მათთან გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსს, რაც დასტურდება შესაბამისი ხელმოწერილი დოკუმენტითა და გასაუბრებით.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**.
რეკომენდაცია
.................................................................................................................................................................................................................
.................................................................................................................................................................................................................
რჩევა
.................................................................................................................................................................................................................
.................................................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
.................................................................................................................................................................................................................
.................................................................................................................................................................................................................

## 3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა სტრუქტურული ერთეულების/პირების სამუშაო აღწერილობა „ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები და სამუშაო აღწერილობები", რომელიც დამტკიცებულია გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 23 თებერვლის Nბ36.134260543 ბრძანებით. აღნიშნულ დოკუმენტში მკაფიოდ არის განსაზღვრული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ასევე წარმოდგენილია მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ოქტომბრის N22 დადგენილება „ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და  განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის  განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ". გაერთიანების მიერ დამტკიცებული კვალიფიკაციები არ არის თანხვედრაში მესტიის საკრებულოს დადგენილებით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. მაგალითად, საკრებულოს დადგენილებით, საგანმანათლებლო პროცესის მხარდამჭერი პერსონალი უნდა იყოს უმაღლესი აკადემიური განათლებით, განათლების მეცნიერებების, მასწავლებლის განათლების, ფსიქოლოგის, ჯანმრთელობის მეცნიერებების და სხვა მონათესავე დარგში, მაშინ როცა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება.

**ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული**.

რეკომენდაცია

ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 23 თებერვლის ბრძანება Nბ36.134260543 „ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები და სამუშაო აღწერილობები" და მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ოქტომბრის N22 დადგენილება „ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და  განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ" მოვიდეს თანხვედრაში.

რჩევა

................................................................................................................................................................................................................................................

................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ, არგუმენტირებულ წერილთან **(07/05/2026, N49)** ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. სადაც მითითებულია **„მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ოქტომბრის #22 დადგენილება და მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ოქტომბრის  #23 დადგენილება არაა შესაბამისობაში დაწესებულების მიერ გასანზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან"**, ვადად განსაზღვრულია **7/05/2026-7/05/2028**. ვინაიდან დაწესებულებას აღებული აქვს **24 თვიანი** ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად, შეფასება შეიცვალა და

**ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.**

### 4. ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა
ბაღში მომუშავე აღმზრდელს გავლილი აქვს შპს „ჩვენთან ერთად 2024“ მიერ ორგანიზებული ტრენინგი „პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა“. ასევე, ბაღის გამგეს გავლილი აქვს შპს „ცოდნის მაძიებელნის“ მიერ ორგანიზებული პირველადი დახმარების ორდღიანი ტრენინგი.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
რეკომენდაცია
...........................................................................................................................................................................................................................
...........................................................................................................................................................................................................................
რჩევა
...........................................................................................................................................................................................................................
...........................................................................................................................................................................................................................
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება
...........................................................................................................................................................................................................................
...........................................................................................................................................................................................................................

### 4.1.2. დაწესებულებაში მოქმედებს პერსონალის მართვის მექანიზმი

### 1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების, მათ შორის, შინაგანაწესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა
დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 23 თებერვლის №ბ36.134260543 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები და სამუშაო აღწერილობები და ამავე ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესი. ორივე დოკუმენტი შესაბამისობაშია კანონმდებლობის მოთხოვნებთან და არეგულირებს იმ ძირითად საკითხს, რაც დაკავშირებულია პერსონალის მართვასა და განვითარებასთან. პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები გამომდინარეობს ორგანული კანონიდან „საქართველოს შრომის კოდექსი“ და აერთიანებს ყველა სავალდებულო პუნქტს: დასაქმებულის მიერ შესასრულებელი სამუშაოები (ფუნქციები), მხარეთა უფლება-მოვალეობები, სამუშაო, შესვენების და დასვენების დრო, შვებულება, შრომითი ურთიერთობის შეჩერება, ხელშეკრულების მოქმედების ვადა, შრომის ანაზღაურება, ხელშეკრულების შეწყვეტა, დავის სამართლებრივი გადაწყვეტა და სხვა.

დაწესებულებამ წარმოადგინა შინაგანაწესისა და ა(ა)იპ მესტიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანებაში მოქმედი სხვა მარეგულირებელი აქტების გაცნობის ხელმოწერილი დოკუმენტი.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

## 2. აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

აღმზრდელთან გაფორმებული ხელშკრულებების მე-5 მუხლის, 5.3, 5.4, 5.5 პუნქტებით განსაზღვრულია საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებში განსახორციელებელი საქმიანობები. კერძოდ „დასაქმებული, თუ შინაგანაწესითა და მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, მუშაობს კვირაში ხუთი დღე ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით. სამუშაო საათების ხანგრძლივობა კვირაში შეადგენს არაუმეტეს 40 საათს; ყოველდღიური დასვენების ხანგრძლივობა, გარდა შენაგანაწესით განსაზღვრული წესისა შეადგენს 60 წუთს, 13:00-დან 16:00 საათამდე შუალედში; დასაქმებულს დამატებით განესაზღვროს არასაკონტაქტო 60 წუთი, კვირაში 3 დღე, რომელიც გამოყენებული იქნება აღმზრდელის პროფესიული განვითარებისთვის და არ უნდა ემთხვეოდეს შესვენების დროს“.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

რჩევა

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

……………………………………………………………………………………………………………………………………………………………………

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................................................................

## 3. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები ეყრდნობა, ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 20 თებერვლის Nბ36.134260514 ბრძანებით დამტკიცებულ „ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესის“ მე-3 თავის მე-9-მე-17 მუხლებს და უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვას. საკონკურსო კომისია წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების საფუძველზე ასაქმებს მოქალაქეებს ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

........................................................................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................................................................
........................................................................................................................................................................................................................................................

## 4. დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლის ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან, რაც გაწერილია, ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 20 თებერვლის Nბ36.134260514 ბრძანებით დამტკიცებულ „ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესის“ მე-18 მუხლში.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

.............................................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.............................................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.............................................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................................................

## 5. დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში, განსაკუთრებული ადგილი უკავია როგორც აღსაზრდელთა, ისე თანამშრომელთა კეთილდღეობაზე ზრუნვას. ერთ-ერთ საკვანძო ღირებულებად, დაწესებულებას გამოტანილი აქვს თანამშრომლობა, რაც, მათი განმარტებით, მშობლების, თანამშრომლებისა და საზოგადოების თანამონაწილეობას გულისხმობს ბაღის საქმიანობაში, გაითვალისწინებენ თითოეულის მოსაზრებებს და წაახალისებენ მათ ჩართულობას სამუშაო პროცესებში, საერთო მიზნის მისაღწევად. ინტერვიუს პროცესში გამოვლინდა, რომ თანამშრომელთა ურთიერთობები ემყარება გულწრფელობას, კოლეგიალობასა და ურთიერთპატივისცემას. თანამშრომლები ხაზგასმით აღნიშნავდნენ ერთმანეთის შრომისმოყვარეობას, პროფესიონალიზმსა და საქმისადმი პასუხისმგებლიან დამოკიდებულებას. დაწესებულებაში არსებული ორგანიზაციული კულტურა აშკარად ეფუძნება თანამშრომლობისა და გუნდური მუშაობის პრინციპებს, რაც შესამჩნევად გამოიხატება მათ ყოველდღიურ საქმიანობაში და იმ ატმოსფეროში, რაც გხვდება დაწესებულებაში.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

.............................................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.............................................................................................................................................................................................................................................

.............................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

## 4.1.3. დაწესებულება ზრუნავს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე

### 1. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 20 თებერვლის №ბ36.134260514 ბრძანებით დამტკიცებულ „ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესის“ მე-19 მუხლში განსაზღვრულია საჭიროებათა მოკვლევის საკითხები. აღნიშნული წესის თანახმად: გაერთიანება აწარმოებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას, რაც უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე კი - დაგეგმავს და განახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს. გაერთიანების შეფასების სისტემა ითვალისწინებს თანამშრომლეთა დაკისრებული ფუნქციების შესრულების ხარისხის შეფასებას, საჭიროებათა მოკვლევა განხორციელდება შემდეგი მეთოდ(ებ)ის გამოყენებით: ა) კითხვარი; დ) შეფასება უშუალო ხელმძღვანელის მიერ; ე) თვითშეფასება; ვ) გასაუბრება; ზ) პროცესზე დაკვირვება თ) სხვა. ამავე მუხლის, მე-4 პუნქტში განსაზღვრულია საჭიროებათა მოკვლევის პროცესის ძირითადი ეტაპები: ა) დაგეგმვა; ბ) შფასების/საჭიროებათა მოკვლევის განხორციელება; გ) შედეგების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

რჩევა

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.......................................................................................................................................................................................................................

.......................................................................................................................................................................................................................

## 2. პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას არა აქვს ცალკე შემუშავებული პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმა, თუმცა ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 20 თებერვლის ბრძანება N ბ36.134260514 „ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესის" მე-20 მუხლით განსაზღვრულია თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება, ასევე ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 23 თებერვლის ბრძანება N ბ36.134260543 დამტკიცებული შინაგანაწესის 28-ე მუხლით განსაზღვრულია პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და ასევე ამავე ცენტრის დირექტორის მიერ 2026 წლის 16 თებერვლის Nბ36.134260473 ბრძანებით დამტკიცებული სამოქმედო გეგმით განსაზღვრულია: 1.2 გაერთიანების ადამიანური რესურსის განვითარება. კერძოდ: 1.2.1 პედაგოგებისა და პერსონელის ცნობიერების ამაღლება ინკლუზიური განათლების პრინციპებისა და უნივერსალური დიზაინის შესახებ (აპრილი-ივნისი და სექტემბერი-დეკემბერი პერიოდში); 1.2.2 საგანმანათლებლო პერსონალის ცნობიერების ამაღლება ბავშვთა უფლებებზე (მარტი-ივნისი და სექტემბერი-დეკემბერი პერიოდში); 1.2.3 პედაგოგების გადამზადება კურიკულუმში „თამაში"(მარტი-ივნისი და სექტემბერი-დეკემბერი პერიოდში); 1.2.4 პროფესიული ლიტერატურის/რესურსების/დარგის სიახლეების მიწოდება (მარტი-ივნისი და სექტემბერი-დეკემბერი პერიოდში) 1.2.5 კვლევითი სწავლების მეთოდებზე ტრენინგებისა და სემინარების ჩატარება (მთელი წლის მანძილზე).

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................

## 3. დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 20 თებერვლის Nბ36.134260514 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი“ განსაზღვრავს, პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმებს, კერძოდ: ა) ინიციატივის განხორციელებისათვის საჭირო რესურსებით უზრუნველყოფა, ბ) ინიციატივის განხორცილებისათვის სამუშაო ჯგუფის და გარემოს ორგანიზება, გ) სხვადასხვა დაწესებულებებთან კომუნაკაცია.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

..........................................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

..........................................................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................................................

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. 2026 წლის 23 თებერვლის Nბ36.134260543 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები და სამუშაო აღწერილობები და ამავე ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესი.
2. პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები.
3. 2026 წლის 23 თებერვლის Nბ36.134260543 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების პერსონალის ფუნქცია-მოვალეობები და სამუშაო აღწერილობები“.
4. მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 ოქტომბრის N22 დადგენილება „ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ“.
5. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის ტრენინგების გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატები.
6. თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.
7. 2026 წლის 20 თებერვლის Nბ36.134260514 ბრძანებით დამტკიცებული „ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი“.

8. 2026 წლის 16 თებერვლის №ბ36.134260473 ბრძანებით დამტკიცებული სამოქმედო გეგმა.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.1. პერსონალის მართვა და განვითარება** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☒ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.2. პროცესების მართვა

### 4.2.1. დაწესებულების საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას

### 1. დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 23 თებერვლის №ბ36.134260541 ბრძანებით დამტკიცებული პროცესების აღმწერების და ხარისხის უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ. დოკუმენტი მოიცავს დაწესებულების იდენტიფიცირებულ მართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებს და მათ აღმწერებს; დაწესებულებას **მმართველობით პროცესად განსაზღვრული აქვს:** სტრატეგიული დაგეგმვა, ხარისხის უზრუნველყოფა; **ძირითად პროცესად განსაზღვრული აქვს:** კურიკულუმის შერჩევა/შემუშავება, განხორციელება, შეფასება და განვითარება; საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება; ბავშვების რაოდენობის მართვა;(რეგისტრაცია, ჩარიცხვა, ამორიცხვა); სსსმ ბავშვების მომსახურება; ოჯახთან და თემთან ურთიერთობა; **დამხმარე პროცესებად განსაზღვრული აქვთ:** ადამიანური რესურსების მართვა; მატერიალური რესურსების მართვა; საქმისწარმოება; პერსონალის და ბავშვების ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების დაცვა; ფინანსური რესურსების მართვა; სანიტარულ-ჰიგიენური პროცესების მართვა; ბავშვთა კვების უზრუნველყოფის პროცესის მართვა; სხვა სერვისები.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

..........................................................................................................................................................................................................

..........................................................................................................................................................................................................

რჩევა

............................................................................................................................................................................................................................................

............................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

............................................................................................................................................................................................................................................

............................................................................................................................................................................................................................................

## 2. პროცესების მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 23 თებერვლის Nზ36.134260541 ბრძანებით დამტკიცებული პროცესების აღმწერების და ხარისხის უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ დოკუმენტი მოიცავს პროცესების აღმწერებს, რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმის ფორმას. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ გაერთიანება რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირებას მოახდენს ყოველწლიური თვითშეფასების საფუძველზე, რომლის განუყოფელი ნაწილია დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა/უკუკავშირი. ინტერვიუდან გამომდინარე ბაღის შესაბამისი პერსონალი სიღრმისეულად იცნობს აღნიშნული წესს და ასევე ავლენს მზაობას პროცესების განხორციელებისთვის. თუმცა, ვინაიდან, ხარისხის უზუნველყოფისა და პროცესების აღმწერების დოკუმენტი დაწესებულებამ შეიმუშავა და დაამტკიცა 2026 წლის 23 თებერვალს N ზ36.134260541 ბრძანებით, დაწესებულებაში იდენტიფიცირებული ყველა პროცესი სრულყოფილად ჯერ არ განხორციელებულა. დოკუმენტში განსაზღვრულია ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხიმგებელი პირი ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას ჯერ არ ჰყავდა ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი.

**ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის დანიშვნა პირდაპირი დანიშვნის გზით, ან კონკურსის (ღია/დახურული) საფუძველზე, რათა პროცესების მართვა განხორციელდეს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად.

რჩევა

............................................................................................................................................................................................................................................

............................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ, არგუმენტირებულ წერილთან **(07/05/2026, N49)** ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. სადაც მითითებულია **„ხარისხის უზრუნევლყოფაზე პასუხისმგებელი პირის არ არსებობა“**, ვადად განსაზღვრულია **7/05/2026-7/11/2026**. ვინაიდან დაწესებულებას აღებული აქვს **ექვს თვიანი** ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად, შეფასება შეიცვალა და

**ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

## 3. დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 18 თებერვლის Nº36.134260491 ბრძანებით დამტკიცებული „ბავშვების ჩარიცხვა-ამორიცხვის წესი“. აღნიშნული წესის მე-3 მუხლით ბავშვის რეგისტრაცია ხორციელდება შერეული სისტემით. ასევე, სხვა მუხლებით რეგულირდება ჩარიცხვა ამორიცხვის პერიოდულობა/ვადები, ჩარიცხვა-ამორიცხვის წინაპირობა, ჯგუფის დაკომპლექტება, რეგისტრაციის შეჩერება, ჯგუფის შექნა და სხვა.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

........................................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................................

რჩევა

........................................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

........................................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................................

## 4. დაწესებულება აწარმოებს ბავშვებისა და პერსონალის პირად საქმეებს დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 18 თებერვლის Nº36.134260491 ბრძანებით დამტკიცებული „ბავშვების ჩარიცხვა-ამორიცხვის წესი“, რომელიც ასევე არეგულირებს ბავშვის პირადი საქმეების წარმოების წესს. აღნიშნული წესის თანახმად, ბავშვის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის მიერ ხელშეკრულების გაფორმებისთვის სტრუქტურულ ერთეულებში წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი დოკუმენტები: ა) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადება გაერთიანების დირექტორის სახელზე, ბ) ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი, გ) ბავშვის ჯანმრთელობის ცნობა, დ) ბავშვის ფოტოსურათი, ე) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი სპეციალისტის/დაწესებულების შესაბამისი დასკვნა/რეკომენდაცია ასეთის არსებობის შემთხვევაში, ვ) მშობლის (მშობლების)/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი, ზ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის საკონტაქტო ინფორმაცია ტელეფონი/ელექტრონული ფოსტა, თ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი ნებართვა/უარყოფა ბავშვისთვის ფოტო და ვიდეო გადაღებაზე/გამოქვეყნებაზე, ი) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი

ნებართვა/უარყოფა ბავშვის დაწესებულების გარეთ გაყვანაზე (კურიკულუმის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისთვის), კ) ინფორმაცია ბავშვის ქრონიკული დაავადების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ლ) ბავშვის სპეციალური საკვებისმიერი ალერგიების ან კვებითი აუტანლობის შესახებ.
ასევე წარმოადგინა ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 20 თებერვლის Nბ36.134260514 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი“, რომელიც მოიცავს პერსონალის პირადი საქმეების წარმოების წესს. პერსონალის პირადი საქმეების ადგილზე შესწავლით გამოიკვეთა, რომ პირად საქმეში წარმოდგენილი არ არის კანონმდებლობით განსაზღვრული ცნობები: ნასამართლობის შესახებ, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობის შესახებ. ასევე, მომსახურების მიწოდების მისამართზე დაწესებულებაში, შესაბამის პერსონალს არა აქვს: 1. ცნობა ტუბერკულოზით დაავადების არარსებობის შესახებ, 2. ცნობა სამზარეულოს პერსონალისთვის ბაქტერიების და ჭიის კვერცხების არარსებობის შესახებ. პირად საქმეში ასევე არ იდო თანამდებობრივი ინსტრუქცია/სამუშაოს აღწერილობა. ასევე პერსონალის მაღვის მარეგულირებელი წესით და არც სხვა რომელიმე მარგულირებელი დოკუმენტით არ არის განსაზღვრული თუ რა დოკუმენტები უნდა ინახებოდეს მომსახურების მიწოდების ადგილზე და რა დოკუმენტები გაერთიანებაში.
**ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული**

რეკომენდაცია

მოწესრიგდეს პირადი საქმეები ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 20 თებერვლის Nბ36.134260514 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად. კერძოდ, ყველა პირადი საქმე შეივსოს ნასამართლეობის შესახებ ცნობით, ცნობა „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის, მომსახურების მიწოდების მისამართზე დაწესებულებაში შესაბამისი პერსონალის ცნობა ტუბერკულოზით დაავადების არარსებობის შესახებ და ასევე, სამზარეულოს პერსონალისთვის ბაქტერიების და ჭიის კვერცხების არარსებობის შესახებ, თანამდებობრივი ინსტრუქციები/სამუშაოს აღწერილობები. განსაზღვროს თუ რა დოკუმენტები უნდა ინახებოდეს მომსახურების მიწოდების ადგილზე და რა დოკუმენტები გაერთიანებაში.

რჩევა

........................................................................................................................................................................................................................................

........................................................................................................................................................................................................................................

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული წერილი **(07/05/2026, N49)**, სადაც აღნიშნავს: „ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად, დაწესებულება უნდა აწარმოებდეს პერსონალის პირად საქმეებს დადგენილი წესის შესაბამისად. დასკვნის პროექტში მოცემული აღწერის მიხედვით, აქვს ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026

წლის 20 თებერვლის №ბ36.134260514 ბრძანებით დაწესებულებას დამტკიცებული აქვს „პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი“, რომლის 22-ე მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს პირადი საქმის შემადგენელი სავალდებულო დოკუმენტაციის ჩამონათვალს. კერძოდ, ეს არის:

ა) სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია - ტელეფონი, ელფოსტის მისამართი, მისამართი;

ბ) რეზიუმე/CV;

გ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ის ასლი:

დ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე) ცნობები/სერტიფიკატები/სხვა დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ პირის შესაბამისობას პოზიციისთვის განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან;

ვ) კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან თანხვედრის დამადასტურებელი დოკუმენტები;

ზ) შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული ბრძანებებისა და შრომითი ხელშეკრულებების ასლები;

თ) კვალიფიკაციის ამაღლების დამადასტურებელი დოკუმენტები (მაგ: სერტიფიკატები);

ი) შინაგანაწესის გაცნობის ხელწერილი.

აღნიშნულ ჩამონათვალში არ ფიგურირებს თანამდებობრივი ინსტრუქცია/სამუშაოს აღწერილობის არსებობა, ასევე არ ფიგურირებს ცნობა ნასამართლეობის შესახებ, რომელსაც ახარვეზებს ექსპერტთა ჯგუფი (ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ იგივე საკითხი სხვა ექსპერტთა ჯგუფის მიერ არ ხარვეზდება). ასევე, აღნიშნულ რეგულაციაში არ არის განსაზღვრული დოკუმენტაციის დიფერენცირება მისი შენახვის ადგილის მიხედვით. რამდენადაც თქვენთვის ცნობილია, პირადი საქმეების დიფერენცირებისა და შენახვის ადგილის განსაზღვრა არ არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სავალდებულო ნორმა, შესაბამისად, ამ საკითხის ასახვა რეგულაციაში არ არის სავალდებულო.

ასევე, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის “სურსათის ჰიგიენის ზოგადი წესისა” და “სურსათის ჰიგიენის გამარტივებული წესის” დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის N173 ტექნიკური რეგლამენტი არ აწესებს კონკრეტულ ანალიზებს, რომელიც უნდა ჩაიტაროს სურსათის წარმოებასთნ/გადამუშავებასთან უშუალაო შეხებაში მყოფმა პერსონალმა. შესაბამისად, დაწესებულება აწარმოებს პირად საქმეებს მის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

აღნიშნული არგუმენტაციიდან გამომდინარე დაწესებულება არ ეთნხმება და შესაბამისობის გეგმაში არ გადააქვს შემდეგი ხარვეზები:

ა) ყველა პირადი საქმე შეივსოს ნასამართლეობის შესახებ ცნობით;ბ) პირად საქმეებში შეტანილი იქნას ცნობები ტუბერკულოზით დაავადების არარსებობის შესახებ, ცნობა სამზარეულოს პერსონალისთვის ბაქტერიების და ჭიის კვერცხების არარსებობის შესახებ; გ) პირად საქმეებში შეტანილი იქნას თანამდებობრივი ინსტრუქციები/სამუშაოს აღწერილობები; დ) „პერსონალის მართვის

მარეგულირებელი წესში “ განისაზღვროს თუ რა დოკუმენტები უნდა ინახებოდეს მომსახურების მიწოდების ადგილზე და რა დოკუმენტები გაერთიანებაში.
აღნიშნული ხარვეზიდან შესაბამისობის გეგმაში გათვალისწინებული იქნება მხოლოდ სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობის შესახებ ცნობის წარმოდგენა პერსონალის პირად საქმეში, აღნიშნული ცნობის სავალდებულობა მარეგულირებელ დოკუმენტში ისედაც განსაზღვრულია“. ასევე დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც მითითებულია **„პერსონალის პირად საქმეში არ არის წარმოდგენილი ცნობა „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის**“, ვადად განსაზღვრულია **7/05/2026-7/05/2027**. ვინაიდან დაწესებულებას აღებული აქვს **12 თვიანი** ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად, ექსპერტთა ჯგუფმა ნაწილობრივ, „**სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის**“ ცნობის გარდა, დანარჩენ სხვა ნაწილში, გაითვალისწინა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია და შეცვალა შეფასება
**ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*
1. 2026 წლის 23 თებერვლის Nბ36.134260541 ბრძანებით დამტკიცებული პროცესების აღმწერების და ხარისხის უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ.
2. 2026 წლის 18 თებერვლის Nბ36.134260491 ბრძანებით დამტკიცებული „ბავშვების ჩარიცხვა-ამორიცხვის წესი“.
3. 2026 წლის 20 თებერვლის Nბ36.134260514 ბრძანებით დამტკიცებული „პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესი“.
4. პერსონალის პირადი საქმეები.
5. გასაუბრება.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.2 პროცესების მართვა** | | | |
| შეესაბამებ.ა ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.3. მატერიალური რესურსი

### 4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.3 მატერიალური რესურსი** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☒ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი

### 4.4.1. დაწესებულების მიერ შეთავაზებული კვების მომსახურება ხელს უწყობს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.4 კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☒ | ნაწილობრივ შეესაბამება ☐ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

### 4.5.1 დაწესებულებაში დაცულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმები

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.5. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

| შეფასება: | | | |
|---|---|---|---|
| **4.5 სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები** | | | |
| შეესაბამება ☐ | მეტწილად შეესაბამება ☐ | ნაწილობრივ შეესაბამება ☒ | არ შეესაბამება ☐ |

## 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება

### 4.6.1. დაწესებულებაში დაცულია პერსონალის და ბავშვების ფიზიკური უსაფრთხოება

#### 1. დაწესებულება უზრუნველყოფს დაწესებულების ტერიტორიაზე პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენას და საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას არ ჰყავს ექიმი/ექთანი. დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ მესტიის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 27 მარტის №ბ36.134260863 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „პერსონალისა და ბავშვების უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის წესი“, რომლის თანახმადაც დადგენილია, გაერთიანებაში შემავალ ბაგა-ბაღებში პირველად გადაუდებელი დახმარების საჭიროების შემთხვევაში დახმარების აღმოჩენის წესი. ამ დოკუმენტის თანახმად, იმ ბაგა-ბაღებში, სადაც არ არის ექიმი/ექთანი, პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენა და შესაბამისი ფორმების შევსება ევალება ბაგა-ბაღის გამგეს. რაც შეეხება საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმასთან დაკავშირებით, დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ერთ წელზე გაწერილი შესაბამისობის გეგმა.

**ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია**

რეკომენდაცია

